# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 15 იანვარი. 2024 წ. №5 (9685) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


## 14 იანვარი საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეა!



## ირაკლი ღარიბაშვილი: სახელმწიფო დროშა ქართული სულისა და დამოუკიდებლობის ყველაზე თვალსაჩინო განსახიერებაა

უმთავრესი ეროვნული სიმბოლოს, სახელმწიფო დროშის დღეს ვულოცავ ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, სახელმწიფო დროშა ქართული სულის, ეროვნული თვითმყოფადობის, ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ყველაზე თვალსაჩინო განსახიერებაა!

**„დროშა ინახავს ჩვენს დიდ ისტორიას და საქართველოს მოქალაქეთა ურყევ ნებას მიმართავს ერთი მიზნისაკენ – დავიცვათ და განვამტკიცოთ ჩვენი თავისუფლება. იგი ყველა ჩვენგანის ერთიანობის სიმბოლოა – ჩვენ ერთი გვაქვს სამშობლო და ერთი გვაქვს მომავალი.**

**ამ მომავლისთვის მრავალმა ქართველმა ყველაზე ძვირფასი – საკუთარი სიცოცხლე გაიღო. დღეს, პატივს მივაგებთ რა ჩვენს დროშას, კიდევ ერთხელ ვიხრით ქედს მათი მარადიული ხსოვნის წინაშე.**

**განსაკუთრებით ვულოცავ და მადლობას ვუხდი ჩვენს გმირ ჯარისკაცებს, რომლებიც დღეს იცავენ მშვიდობასა და ერთიანობას; მადლობას ვუხდი ყველას, ვინც საკუთარი ყოველდღიური შრომით ემსახურება საქართველოს გაძლიერებას.**

**მშვიდობას, ერთიანობასა და კვლავაც წინსვლას ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს!“**

საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე 14 იანვარს, საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიღების დღეს აღინიშნება.

## შეაჩერეთ ეს რეგვენნი!








იხ. 3 გვ.


**შემოვლითი გზები, რომლებსაც**

**არსაით მივყავართ...**



**ბიძინა დვალი:**

## უსამშობლო არსება


2


**პოლიტიკოსის მდაბიური ქვენა გრძნობები**

## პროფესიის პრესტიჟი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

### გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს სპარტაკ ქობულიას

**ბატონო სპარტაკ,**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულითადად გილოცავთ 75-ე დაბადების დღეს, გამოჩენილ ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ღირსეულ პიროვნებას. ქართველი საზოგადოება თქვენ გიცნობთ როგორც მართალი სიტყვის ერთგულ მსახურს. თქვენ მრავალრიცხოვანი და უაღრესად საინტერესო პუბლიკაციებით ჟურნალისტის პროფესიული ოსტატობის, კეთილსინდისიერების, მოქალაქეობრივი პრინციპულობისა და ლიტერატურული გემოვნების მაღალ სტანდარტს ამკვიდრებთ.**

**წლებია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“ და პირადად თქვენთან მრავალმხრივ ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებს, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მეცნიერებასა და საზოგადოებას შორის ხიდის გადებაში.**

**გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა კვლავ ღირსეულად ემსახუროთ ქვეყანას თქვენი მადლიანი კალმით.**

**რონ მეტრეველი,**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი



### გმადლობთ გამხნევებისთვის!

**13 იანვარს საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ქართულ ჟურნალისტიკაში ხანგრძლივი მოღვაწეობისთვის მრავალი პრემიის ლაურეატს, ღირსების ორდენოსანს, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ნიკო ნიკოლაძის პრემიით, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ ილია ჭავჭავაძის პრემიით, საქართველოს კულტურის საერთაშორისო ფონდის მიერ წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის პრემიით დაჯილდოებულს, „ოქროს ფრთის“ ლაურეატს, საუკუნეგადაცილებულ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს სპარტაკ ქობულიას 75 წელი შეუსრულდა.**

**უამრავ მილოცვასთან ერთად გაზეთის თანამშრომლებსა და იუბილარს საქართველოს მეცნიერთებათა ეროვნულმა აკადემიამაც გულითადად მოგვილოცა.**

**აკადემიის პრეზიდენტის, ბატონი რონ მეტრეველის მიერ ხელმოწერილი ადრესი ჩვენთვის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლებისთვის, განსაკუთრებით დასაფასებელია, რადგანაც ჩვენ, მთავარ რედაქტორთან ერთად, მუხლჩაუხრელად ვემსახურებით იმ ურთულეს საქმეს, რასაც დღეს ქართული ბეჭდური მედიის ავტორიტეტი, მართალი სიტყვის თქმა და ხალხის სამსახური ჰქვია.**

**ვულოცავთ ჩვენს მთავარ რედაქტორს საიუბილეო თარიღს, ჯანის სიმრთელეს ვუსურვებთ, პროფესიული საქმის სიყვარულში თავდაუზოგავ შრომას და გვერდით დგომას ვპირდებით...**

**განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებთ აგრეთვე ქართველ მწერალთა ღირსეულ გაზეთს „ლიტერატურულ საქართველოს“, რომელმაც 12 იანვრის ნომერში შთამბეჭდავი პუბლიკაციები უძღვნა სპარტაკ ქობულიას საიუბილეო თარიღს.**

**გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს, ძვირფასო კოლეგებო!**

**გფარავდეთ ღმერთი!**

**მამუკა ვაშაკიძე,**

გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.


საქართველოს რესპუბლიკა



# საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორიგინალი დროშა გამოიფინა

**საქართველოს სახელმწიფო დროშის დღესთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორიგინალი დროშა გამოიფინა.**

ეს დროშა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, საბერძნეთში მცხოვრები, წარმოშობით ვენეციელი დიდებულების შთამომავლის, ევგენი დალეჯიოს ოჯახში იქნა მიკვლეული და ოფიციალურად გადმოეცა ქართულ მხარეს. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტროს გადმოეცა ევგენი დალეჯიოს ისტორიული არქივიც. ისტორიული წყაროების თანახმად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წევრებმა, კონსტანტინოპოლში დაუტოვეს ეს ეროვნული დროშა ევგენი დალეჯიოს, იმ იმედით, რომ მალე უკან დაბრუნდებოდნენ. ამას ადასტურებს დროშის თეთრ ზოლზე სვიმონ მდივნის, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის და ვასილ წულაძის, დამფუძნებელი კრების წევრის ხელმოწერები. იქვე, ხელს აწერს ევგენი დალეჯიო იმის ნიშნად, რომ დროშა ჩაიბარა და თავის ხელმოწერას კონსტანტინოპოლში საქართველოს გენერალური საკონსულოს ბეჭდით ამოწმებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორიგინალი დროშის მხოლოდ სამი მეხუთედია შემორჩენილი. ისტორიული ექსპონატი სადემონსტრაციო სადგამით, სამინისტროს ცენტრალურ დარბაზში განთავსდა, მოგვიანებით კი, სხვა ექსპონატებთან ერთად, საქართველოს დიპლომატიის მუზეუმში იქნება განთავსებული.

# ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მაჩვენებელი სამინისტროს არსებობის ისტორიაში ყველაზე მაღალი იყო!



## ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში 13 იანვარს ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა.**

სხდომაზე მიმდინარე წელს დაგეგმილი პროექტები განიხილეს. საბჭოს წევრებმა 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე იმსჯელეს. აღინიშნა, რომ დაგეგმილ მაჩვენებლებთან შედარებით შემოსულობები 102.2%-ით, საგადასახადო შემოსავლები 101.7%-ით, პრივატიზაცია 124.3%-ით, გადასახდელები 100.3%-ით, კაპიტალური ხარჯები კი, 101.2%-ით შესრულდა, ხოლო მშპ-თან მიმართებით ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა 2.5% შეადგინა.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ აღნიშნა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 102.5%-ით ანუ 83.3 მილიონი ლარის გადაჭარბებით შეასრულა და სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო ხარჯმა 3 434.8 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გეგმაზე (3 351.4 მლნ ლარი) 83.3 მილიონი ლარით მეტია.

ამასთან, მინისტრის თქმით, სამინისტრომ ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 354.4 მილიონი ლარით მეტი ფინანსური რესურსი მოახმარა, რაც სამინისტროს არსებობის ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

როგორც ირაკლი ქარსელაძემ აღნიშნა, სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებებმაც გადააჭარბეს 2023 წლის გეგმებს და ქვეყნის მასშტაბით ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას მოახმარეს: საავტომობილო გზების დეპარტამენტმა – 2 018.8 მილიონი ლარი (გეგმის 104%); სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა – 839.0 მილიონი ლარი (გეგმის 100%); შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ – 521.1 მილიონი ლარი (გეგმის 100%); შპს ,,მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ – 43.0 მილიონი ლარი (გეგმის 101 %).

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ციტრუსის ექსპორტის საკითხზე. აღინიშნა, რომ ციტრუსის სეზონზე ქვეყნის გარეთ ამ ეტაპისთვის ექსპორტირებულია 33 800 ტონა, 22 მილიონი აშშ დოლარის ციტრუსი. დღეის მდგომარეობით, მიმდინარეობს მიღება-დახარისხება და ექსპორტირების პროცესი. ამ დროისათვის საწარმოს მიერ გადამუშავებულია 9 900 ტონა არასტანდარტული ციტრუსი. სუბსიდიის თანხამ 2 474 000 ლარი შეადგინა. როგორც საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, პროცესი გრძელდება და დამატებით 3-5 ათასი ტონის გადამუშავება იგეგმება.

განიხილეს სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ელექტროენერგიის სუბსიდირების საკითხი. აღინიშნა, რომ 2024 წელს კვლავ გაგრძელდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 150 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მოხმარებული ელექტროენერგიის სუბსიდირება.

**როგორც დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის ბოლოს სემეკის გადაწყვეტილებით საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის ტარიფი შემცირდა 3,0 თეთრით, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სუბსიდია ძალაში რჩება. მინისტრის თქმით, 2024 წლის განმავლობაში სოციალურად დაუცველ ოჯახებს, სარეიტინგო ქულების მიხედვით, მოხმარებული ელექტროენერგია 12,5 თეთრამდე დაუფინანსდებათ. აღნიშნული შეღავათით 250 000-მდე ოჯახი ისარგებლებს.**

# პოლიტიკოსის მდაბიური ქვენა გრძნობები

# უსამშობლო არსება

XXI საუკუნის ქართული ანდაზაა – **მითხარი, რომელ გრანტზე ზიხარ და... ყველა შემთხვევაში გეტყვი, რომ ერთი უსამშობლო არსება ხარ(!).** არამ ფულზე მისეულთა გზუილმა ლამის წალეკოს მედიასივრცე...

ამ სიმრავლეშიც კი გამორჩეულები არიან **„თეიმურაზ ხევისთავის კლუბის“, ანუ ე.წ. რესპუბლიკური პარტიის** სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები. თვალჭრელიძეებს, კაკაჩიებს, ხუხაშვილებს კარგად მოეხსენებათ, რომ გლობალური ომის პარტიის თბილისის შტაბიდან წამოსული **მესიჯბოქსები მთლიანად სიყალბეზეა აგებული და ამ საქმეს, უბრალოდ, კარგი სარგებელი რომ მოაქვს,** იმიტომ იყრიან თავზე ნაცარს. ეს საცოდავი „რესპები“ კი, ისეთ ამპარტავნებაში არიან ჩავარდნილი, მართლა იჯერებენ, რომ „დიდ მიზნებს“ ემსახურებიან და რასაც იღებენ, მათი „ცოდნის“ და „გამოცდილების“ საფასურია.

სხვადასხვა თაობის „რესპებს“ კიდევ ერთი დიდი საერთო აქვთ – **პოლიტიკას ვერ სწავლობენ.** უფრო მეტიც, აქამდე **ის საწყისი გაკვეთილიც ვერ აითვისეს, რას გულისხმობს პოლიტიკის ცოდნა.** ამიტომაცაა, ნაჭუჭში გამოკეტილებს, **მათი „თვალსაწიერის“ იქით თუ რაიმე კიდევ შეიძლება არსებობდეს, ვერც კი წარმოუდგენიათ** და თავის პერმანენტულ წარუმატებლობებს ხალხის „ჩამორჩენილობას“ აბრალებენ.

**„შეუქცევადი უცოდინარობის“** თვალსაჩინო მაგალითია **„ექსპერტ“ ვახტანგ ძაბირაძის „მოღვაწეობა“.** ნეტა, რამდენი „დასკვნა“ უნდა შეგეშალოს და რამდენი პროგნოზი უნდა გაგიცუდდეს, რომ ამ სიზიფეობას შეეშვა კაცი? მაგრამ **ტრაგედიაც ისაა, რომ „გადაბრუნებულზეც“ ვერ ხვდებიან, რომ შეეშალათ...**

**სტატუსის მონიჭებისა და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების** მერე, როგორც ჩანს, საბოლოოდ დაკარგეს კონტროლი ყველანაირ თავმოყვარეობაზე. ისეთ რამეებს გადააწყდები კაცი, რომ...

**„თუ არჩევანი ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ იქნება, არ გამოვრიცხავ, რომ ისევ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვოსო“,** უბრძანებია ყველაზე სტაჟიან, ანუ ყველაზე ჩაობებულ „რესპს“... გაიგეთ? – **არ გამოვრიცხავო...** ანუ, ახლა რომ ვთქვა, თუ **გორის „დილას“ და მადრიდის „რეალის“** გზები გადაიკვეთება, **არ გამოვრიცხავ,** რომ „რეალმა“ მოიგოსმეთქი... ავოე-ე-ე... **ამას რომ არგუმენტები მოვთხოვო, ან ფაქტები და არგუმენტები „პაჩკობით“ იქით რომ მივაყარო, ხომ მეტყვით, არ გრცხვენია, ამ გაჭირვებულს თავისი უბედურებაც ეყოფაო?..** რა ვქნა, უნდა დაგეთანხმოთ. მართლაც, კოლექტიურ „ნაცმოძრაობაშიც“ კი მხოლოდ ორი, ორად-ორი სულიერი მეგულება, ვისაც ძაბირაძის „მსჯელობა“ გულს გაუთბობს: **„განტევების ხაზე“ და „უსუფა პუსტა-პუსტა“.**



ეს მართლა გაჭირვებული, როგორც ირკვევა, ზემოციტირებულ „მოსაზრებას“ იმ „მთავარი დასკვნის“ შესამზადებლად იყენებს, რომ – **„თუ ოპოზიცია გადაჯგუფდება, „ქართული ოცნება“ ვერ აიღებს 76 მანდატს – ვო-ო“.** ჩემო ვახუნხულა, დიდად პატივცემული **ვიქტორია ნულანდი 2013 წლიდან მოყოლებული, წლებზე ფეხს იდგამს, ისეთი „რასკლადი“ დასვას, „თავისი ნაძირალები“ იქნება და როგორმე მოაბრუნოს ხელისუფლებაში** და თუ რაიმე ფორმულა გაქვს... ე, ბიჭო, არაფერი დაუმალო...

არ დაიჯერებთ და ეს „პოლიტიკის ჩაწოლილი საქონელი“, როლებში შეჭრილა და „ძალიან ღრმა“ პოლიტიკურ ანალიზსაც შესჭიდებია: **„ხალხის ძალა“ არ ეყოთ, რათა ჩვენთვის სტატუსი არ მოეცათ, სტატუსი მოგვცეს. ახლა წინ უნდა წავიდეთ და როგორც ჩანს, გარკვეული ზღუდეები იქნება იმით, რომ ივანიშვილი ხელისუფლებაში დაბრუნდა“.**

გულახდილად ვიტყვი, **ვახტანგ ძაბირაძეზე მთლად ასეთი ცუდი წარმოდგენის არ ვიყავი.** ვინმეს რომ ეკითხა, მსგავსი რამ ვის შეიძლება დაებრეხვებინაო, დიდი ჭოჭმანით, გია ბარამიძეს თუ დავასახელებდი, რადგან **ერთადერთია, ვინც არასდროს არ ფიქრობს და უძირო ჭურიდან ისე ამოიძახებს ხოლმე** ხან რას და ხან რას. სულ-სულ „ცენტრიდან“ მოსული დავალებაც რომ იყოს, **ამ უკიდეგანო სისულელეს ხელი როგორ უნდა მოაწეროო?**

რაიმე რომ არ შეგვეშალოს, მოდი, ერთხელ კიდევ გავიმეოროთ, ოღონდ უფრო გაშლილი შინაარსით, რა იხარშებოდა ამ **როდენის სკულპტურის უხარისხო ასლის** თავში:

მაშასადამე, **„ოცნება“,** თურმე, წელიწადნახევარზე მეტია **ყველანაირად იბრძვის, ვაი და ევროკავშირში არ შეგვიტყუონ, ან სულაც, ძალით არ შეგვათრიონო.** ამისთვის, თურმე, „ხალხის ძალაც“ შეუქმნია, მაგრამ მაინც ჩავარდნია კოვზი ნაცარში და **ძალით ჩაუკუჭეს, თურმე, კანდიდატის სტატუსი** ამოკერილ ჯიბეებში. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ „ოცნებას“, ამჯერად, თურმე, გაბრძოლების ახალი მექანიზმი მოუფიქრებია – **„ოლიგარქ“ ივანიშვილის ღია პოლიტიკაში ჩართვის შემდეგ, შანსი არაა ევროკავშირში მიგვიღონო** და ისიც ამ მიზნით დაბრუნდა პარტიაშიო...

ასეთებზე ამბობენ, **რაც ნაკლებს ილაპარაკებს, ნაკლებ სისულელეს იტყვისო.** წარმოდგენილ „ანალიზში“ ჩემი არც ჯანმრთელი და არც ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი ნატამალიც ხომ არ არის, მაგრამ მაინც **დიდ სინდისის ქეჯნას განვიცდი, რომ მკითხველს ამ ნაბოდვარზე დროს ვახარჯვინებ.**

კიდევ ერთ „დეტალზე“ გავამახვილებ ყურადღებას და ამით დავამთავრებ. აქაც და ყველა წინა პუბლიკაციაშიც **„ექსპერტი“, თუნდაც მოჩვენებითი ობიექტურობისთვის,** არც კი ცდილობს, უფრო სწორად, **ვერ ახერხებს, შენიღბოს ხელისუფლებისა და მისი ცალკეული წარმომადგენლების მიმართ განსაკუთრებული ბოღმა და შური.** ადრეც ვწერდი და გავიმეორებ, თეიმურაზ ხევისთავს და „რესპებს“ დიდი საერთო აქვთ, ორივე მორალური ცვედანები არიან, მაგრამ **ლიტერატურული გმირისგან განსხვავებით, პოლიტგალასტად ქცეულ ჯგუფს თავისი უმწეო მდგომარეობა აბოროტებს და მზად არიან, ყველა ღირსეულ და წარმატებულ კონკურენტსაც ავნონ, „ვერდამფასებელ“ ხალხსაც და ქვეყანასაც.**

**ბიძინა დვალი,**

09.01.2024 წ.

SIC! SIC! SIC!
№5. ორშაბათი, 15 იანვარი, 2024 წელი.

**შობა-ახალმა წელმა თოფების და შამპანურის ბოთლების შედარებით შემცირებული ბათქაბუთქით, ყველა დიდ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში ნაძვის ხის ზეიმით და გადამეტებული ცეკვა-სიმღერებით ჩაიარა. კარგი იყო, განსაკუთრებით, ორბელიანთა მოედანზე საახალწლო სადღესასწაულო სოფლის ხმაური და ქრიამული. მთავრობამ საგანგებოდ გამოიღო ხელი 2024-ის მობრძანების გამორჩეულად დასახვედრად.**

**იყო, ყველაფერი იყო!**



## შემოვლითი გზები, რომლებსაც არსაით მივყავართ...

# შეაჩერეთ ეს რეგვენი!







**ელენე ხოშტარია, თავად სალებავების შესხმის დიდოსტატი, ენას უჩლექს: „შენს გვერდით ვარ, მადლობა!“**

**ნინია კაკაბაძე კი გვარწმუნებს: „ნატა მივიდა სამებაში და გააკეთა ჩვენი, ყველას გასაკეთებელი საქმე. დღეს, როცა ნატას სახლთან ორკები მიუვარდნენ, ჩვენ უნდა წავსულიყავით და მოსკოველი მატრონა სტალინთან ერთად კვლავ გადაგვეღება.“ აფერუმ, შენ ქალობასა და ოჯახიშვილობას!**

**მაგრამ, გახსოვთ „შერეკილებიდან“ ქრისტეფორე მგლობლიშვილის ცნობილი თქმა შუბლზე მიდებული ხელით: აქედან ვერ წაშლი! ზეიმმა ვერ წაშალა ოპოზიციის შავი ფიქრები. ეს წელიწადი ხომ საგანგებო მოვლენებით დაიწყო: ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებით, მისი „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარედ არჩევით.**

ეს ბიძინას მესამე და, სავარაუდოდ, კაი ხნით დაბრუნებაა!

8 იანვარს გამოქვეყნდა „ქართული ოცნების“ VII ყრილობის (2023 წ. 30 დეკ.) მიერ დამტკიცებული ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც პარტიის სტრუქტურას ემატება პარტიის საპატიო თავმჯდომარის პოზიცია. წესდების თანახმად, პარტიის თავმჯდომარედ ყრილობა ირჩევს პირს, „რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქვეყნის და პარტიის წინაშე“. პოლიტიკური საბჭო პარტიის საპატიო თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას.

ამ ინფორმაციამ, მანამდე კი, 30 დეკემბერს „ოცნების“ ყრილობის მიერ ბიძინა ივანიშვილის „ლეგალიზებამ“ – პარტიის საპატიო თავმჯდომარედ არჩევამ ისედაც თავგზააბნეულ ოპოზიციას ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალა. და არის ცეცხლოვანი განცხადებები (რომლებიც არა მხოლოდ განმცხადებლებს „წვავს“), უთავბოლო მოწოდებები, ყოვლად უსაფუძვლო თავდაჯერება, შერყეული იმედი, უფრო სწორად-სამომავლო იმედის განქრობა...

ახლა პარტიების, ლიდერების მთავარი სალაპარაკო, საგანცხადებო თემაა, თუ რას იზამს ბიძინა ივანიშვილი. რაღაცას მათთვის დიდად წამგებიანს და სამაღვალაკოს რომ იზამს, ეჭვი არ ეპარებათ. ამიტომ ათასგვარ შემოვლით გზას იგონებენ და გეგმავენ. მით უფრო, რომ ოპოზიციის ხმამაღალი ფიცი – უთუოდ მოვიგებთ 2024 წლის არჩევნებს და პოლიტიკური არენიდან ბოლოსდაბოლოს ფეხს ამოვაკვეთინებთ „ქართულ ოცნებასო“, თანდათან ხუნდება, მითების სამყაროში ინაცვლებს. და დაიწყო იარაღის ავზედითი ჟღარუნი: ბიძინას გამოწვევა დებატებში, ხმალში თუ სიგრძეზე ხტომაში...

ოპოზიცია, როგორც ვთქვით, სათანადო, „შემოვლით“ გზებს დაადგა. სწორედ ამ „შემოვლის“ ორგანული ნაწილი გახდა პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერის ბექა ლილუაშვილის ინიციატივა ქვეყნის პრეზიდენტის პირდაპირი გზით არჩევის თაობაზე და მოთხოვნა, რომ კონსტიტუციაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, დაბრუნდეს მანამდე არსებული წესი და საქართველოს მომავალი პრეზიდენტი საარჩევნო კოლეგიის ნაცვლად კვლავ საქართველოს მოქალაქეებმა აირჩიონ პირდაპირი წესით, რაც უზრუნველყოფს პრეზიდენტის საჭირო ლეგალიზაციასო.

გავიხსენოთ: ამჟამად მოქმედი კონსტიტუციით პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე, ღია კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კომისია, რომელიც 300 წევრისგან შედგება. კოლეგიის წევრობის კანდიდატს ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან ასახელებენ პოლიტიკური პარტიები კვოტების შესაბამისად. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს ცესკო.

**ყველამ კარგად ვიცით, თავის დროზე რატომ შეიცვალა პრეზიდენტის არჩევის წესი. ამას ბიძგი მისცა ბოლო ათვლის – მეოთხე და მეხუთე პრეზიდენტების ყოვლად მოუთმენელმა უგვანობამ. მაშინ, სხვათა შორის, არჩევის წესის შეცვლას პარლამენტში ხმა მისცა ოპოზიციამაც. მაგრამ ახლა, როცა ოპოზიციის რწმენა „ქართული ოცნების“ არჩევნების გზით დამხობის შესახებ კატასტროფულად შეირყა, დარჩა საკუთარი ჩამოსხმის პრეზიდენტის არჩევის შესაძლებლობა. ამის მიღწევას კი 300-კაციანი საარჩევნო კოლეგიის პირობებში რატომღაც უიმედო საქმედ თვლიან და კონსტიტუციურად დაწუნებული პირდაპირი წესით არჩევნების დაბრუნებას მოითხოვენ. არადა, შეცვლილი წესით პრეზიდენტი ჯერ არასოდეს აგვირჩევია.**

ისე, თუ უვარგისია, პრეზიდენტი გინდა ასე აირჩიე, გინდა – ისე... გინდა განვადებით, ბოლოს მაინც გაგეპარება ევროპაში „ზაიჩიკად“ სამოგზაუროდ...

ლილუაშვილის ინიციატივას უმალ შეაგებეს საკუთარი გულის ძგერა ძმადნაფიცებმა სხვა პარტიებიდან, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ „საპრეზიდენტო დებატები“ ბოლოს მძლავრ, სრულიად ოპოზიციურ ნიაღვრად აღზევდება და დასასრულ, ისევე უშედეგოდ და უსახელოდ ჩაესვენება საპარლამენტო სხდომათა ოქმებში, როგორც აქამდე მრავალი ჩასვენებულა. მთავარი ის გახლავთ, რომ ამ ჯახაჯუხის თავი და ბოლო არა საქმეზე გულმტკივნეულობა, არამედ „ოცნების“ წინააღმდეგ ახალი ფათერაკის ძიებაა.

ასეთი ფათერაკები ქუჩაში მრავლად ყრია, მთავარია, მეცადინი თვალით დროულად შეამჩნიო და საზოგადოებას მიაწოდო ნანატრ ნუგბარად. აი, ცხელ-ცხელი მაგალითი.

**6 იანვარს დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა ცნობა, რომ სამების საკათედრო ტაძარში დასვენებულია მოსკოველი წმინდა მატრონას და სტალინის ხატი. მეორე დღესვე ფეისბუკგვერდზე ეს ცნობა ფოტოებით და შესაბამისი „სოუსით“ დაადასტურა პოლიტიკოსმა გიორგი კანდელაკმა. ატყდა ვაი-უშველებელი, რასაც გაუგონარი ვანდალიზმი მოჰყვა. „უფლებადამცველმა“ ნატა ფერაძემ შეურაცხყო ხატი – ლურჯი საღებავი შეასხა მას.**

ეს ხატი სამების საკათედრო ტაძარს შესწირეს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა ირმა ინაშვილმა და დავით თარხან-მოურავმა. ისინი განმარტავენ, რომ ხატი დაწერა „ძალიან დიდმა პროფესიონალმა, ცნობილმა ხატმწერმა, რომელსაც სათანადო ცოდნაც აქვს და ცხოვრების წესითაც პასუხობს ხატწერის კრიტერიუმებს“.

ძმატრონას და სტალინის ხატზე“ მთელი ტანით გამოსახულია წმინდანი, ხოლო გარშემო ფრაგმენტები მისი ცხოვრებიდან პატარ-პატარა ნახატების სახით. ერთ-ერთ ფრაგმენტზე ასახულია „სტალინთან შეხვედრა“. თუმცა, როგორც დაბეჯითებით ამბობენ სპეციალისტები, ეს მითია, მათი შეხვედრა არასოდეს მომხდარა. არ არსებობს იმის დადასტურებაც, რომ სტლინმა ვითომ სწორედ მატრონას რჩევით შემოატარა მოსკოვის გარშემო თვითმფრინავით ყაზანის ღვთისმშობლის ხატი 1941 წლის უმძიმეს დღეებში. აქვე ცნობისათვის: სტალინის ხატება რუსეთში რამდენიმე წელია ჩნდება, რუსი მორწმუნეების ნაწილი მის წმინდანად შერაცხვასაც კი ითხოვს.

რაც შეეხება თვით წმინდანს. მატრონა მოსკოველი დაიბადა(1881წ. 9.11-1952წ. 2. 10) ტვერის გუბერნიის სოფელ სებინოში. დაბადებიდან ბრმა იყო. ირწმუნებიან, რომ 8 წლის ასაკში უკვე ჰქონდა კურნების და ნათელმხილველობის ნიჭი, ფლობდა შეუჩერებელი ლოცვის ძალას, ხალხი უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა მასთან. 16 წლისას ფეხებიც წაერთვა და მას შემდეგ აღარასოდეს გაუვლია. 1920 წლიდან გარდაცვალებამდე მოსკოვში ცხოვრობდა, იქაც უამრავი ხალხი აკითხავდა ავადმყოფობისგან განსაკურნებლად და სულიერი რჩევების მისაღებად. იგი ყველას ეუბნებოდა, რომ თვითონ კი არ არის მკურნალი, არამედ მისი ლოცვებით და შუამდგომლობით – თვით უფალი იესო. 1999 წელს მატრონა რუსეთის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მის ხატს სხვა ქვეყნის ეკლესიაშიც ნახავთ.

სტალინისა და მატრონას თემა აშკარად შობის დღესასწაულის გადასაფარად და წმინდა საპატრიარქოს, ქართული ეკლესიის, ქართული საზოგადოების წინააღმდეგ იყო მიმართული. აღმსრულებელიც ისეთი შეირჩა, უარესს ვერ იტყვი. შეხვიდე სამებაში და საღებავი შეასხა ხატს, რა შინაარსისაც არ უნდა იყოს ის, მსგავს მკრეხელობას მხოლოდ სტალინის ბოლშევიკური სიძულვილი ვერ გაიძულებს, შინაგანი სიბილწე და სულიერი ხულიგნობაც უნდა მოგდგამდეს. ასეთი ბოროტი ხულიგანი აღმოჩნდა ბილწსიტყვაობით ცნობილი „სამოქალაქო აქტივისტი“ ნატა ფერაძე. ის რომ მკრეხელობა სწორედ ამ დედაკაცმა ჩაიდინა, არავის გაკვირვებია.

მაგრამ აქ მთავარი ისიც არის, რომ მის მიერ ჩადენილი ვანდალიზმისთვის ზოგიერთები საჯაროდ უხდიან მადლობას. ცნობილი ოპოზიციონერი, პარტია „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია, თავად საღებავების შესხმის დიდოსტატი ენას უჩლექს: „შენს გვერდით ვარ, მადლობა!“ მოდი და რამე იწამე ამ ვაიპოლიტიკოსისა. ასევე სამადლობელ კურცხალს იწმენდს კიდევ ერთი „სამოქალაქო აქტივისტი“ ნინია კაკაბაძე: „ნატა მივიდა სამებაში და გააკეთა ჩვენი, ყველას გასაკეთებელი საქმე. დღეს, როცა ნატას სახლთან ორკები მიუვარდნენ, ჩვენ უნდა წავსულიყავით და მოსკოველი მატრონა სტალინთან ერთად კვლავ გადაგვეღება.“ აფერუმ, შენ ქალობასა და ოჯახიშვილობას!

**ერთი საგულისხმო ამბავი მინდა შევახსენო მკითხველს: როცა 2022 წელს ნატა ფერაძეს მანქანა საღებავით დაუთხუპნეს და ზედ უწმაწური სიტყვაც დააწერეს, მან წიოკით აიკლო ქვეყანა. მთელი თვე ჩაუგდებლად მოითხოვდა პოლიციისაგან დაზარალებულად ცნობას და დამნაშავეთა სასტიკად დასჯას. მაშინ მას გვერდში ედგა სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია. გუგლში „უფლებადამცველი“ ნატა ფერაძე ხასიათდება როგორც არანორმატიული ლექსიკის საჯაროდ გამომყენებელი. ალბათ, ყველას ახსოვს ეპიზოდი ამ ქალის ერთი გახმაურებული სატელევიზიო საუბრიდან, როცა სახტად დატოვა ტელემაყურებელი: „ევროპაში სატყნ...როდ ვიყავი წასულიო...“**

ხატი მალევე გაწმინდეს და საპატრიარქომ შემომწირველებს წინადადება მისცა, ხატმწერს შეეცვალა ხატის შინაარსი – ამოეღო სტალინის თემა.

ბოლოს ერთი ცნობაც. მკრეხელ ნატა ფერაძეს, რომელიც წლების მანძილზე მიჩვეული იყო დაუსჯელად ჩაედინა ხულიგნური ქმედებები, 10 იანვარს საცხოვრებელ სახლთან მიუხდნენ აღშფოთებული ადამიანები, იმ დღეს ისინი პოლიციამ შეაკავა, მაგრამ მაინც დიდი შიში აჭამეს. თუმცა, როგორც კი აღშფოთებული ხალხი დაიშალა, ამ ქალმა ისევ გამოაჩინა თავისი ბინძური სული და განაცხადა: „ეს იყო ლინჩის წესის დანერგვა. ისინი არიან ბინძური და კარგად გათვლილი სტრატეგიის, მართული ხალხი. ეჭვგარეშეა საპატრიარქოს მიერ არიან მართულები. საპატრიარქო არის ერთ-ერთი ყველაზე ბინძური პოლიტიკური აქტორი“. ალბათ, სწორედ ასეთი ამოურწყავი ბოროტების გამოა, რომ მოქალაქეები დაბეჯითებით მოითხოვენ მის დასჯას.

ამ დედაკაცმა ვერა და ვერ შეიგნო, რომ მან მატრონას ხატის შეურაცხყოფით თავად ქართული ეკლესია და საზოგადოება შეურაცხყო, რაც ნამდვილად არ უნდა ეპატიოს.

**ალეკო ასლანიშვილი**

**P.S. კანონმდებლები გვპირდებიან, რომ რეგულაციები გამკაცრდება და შემდგომში მსგავსი ქმედებები დაისჯება არა როგორც წვრილმანი ხულიგნობა! იქნებ სასჯელის სიმძიმემ მაინც შეაჩეროს რეგვენი ადამიანები!**




# მთავრობა ცდილობს ჰესების აშენება წაახალისოს...

**საქართველოს მთავრობა გეგმავს, რომ ქვეყანა სრულად გადაიყვანოს ადგილობრივი წარმოების დენის მოხმარებაზე და ამ მიზნით ჰესების მშენებლობის წახალისებას ცდილობს. რამდენად სწორად არის დაგეგმილი ეს სტრატეგია, რა ვადა დაითქვა და რამდენად რეალისტური ხელისუფლების გათვლა?**

**დღეს საქართველოს ენერგოსისტემას ჰესები, თბოსადგურები და ერთი ქარის სადგური შეადგენს. აქედან გამომუშავებული დენის 70%-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგურებზე მოდის, 23% – თბოსადგურებზე, ერთადერთი ქარის სადგურის წილი კი ქვეყნისთვის იმდენად უმნიშვნელოა, რომ შეიძლება არ გავითვალისწინოთ.**

ქვეყანა, რომლის მოთხოვნილებაც დენზე წლიდან წლამდე იზრდება, თბოსადგურებს რთავს და დენს ყიდულობს, ზაფხულის თვეებში ჰესები იმდენს გამოიმუშავებს, რომ სრულად ჰყოფნის და რჩება კიდევაც. თუმცა 2023 წლის 11 თვეში დენის მოხმარება შემცირდა, რადგან მეტალურგიის დარგმა და მაინინგკომპანიებმა ელექტროენერგიის მოხმარება შეამცირეს.

ჯერ კიდევ 2022 წელს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ ქვეყანას აქვს სქემა, რომლითაც ერთი მხრივ აითვისებს ჰიდრორესურსებს, მეორე მხრივ კი, გადაჭრის ენერგოუსაფრთხოების საკითხებს.

**„ეს არის ჩვენი მთავარი პრიორიტეტი და ბოლო რამდენიმე თვე ამ მიმართულებით ვიმუშავებთ. გვქონდა კონსულტაციები საერთაშორისო სავალუტო ფონდთანაც, ეს სქემა, რომელსაც წარმოგიდგენთ, შეთანხმებულია და გავლილი“,** – თქვა მან მთავრობის სხდომაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს საქართველომ თითქმის 1.5 მილიარდი კვტ.სთ მოცულობის ელექტროენერგია გაყიდა (ექსპორტის 80%-ზე მეტი თურქეთში გადის) 103 მილიონ დოლარად, რაც რეკორდულად ბევრია, ზოგჯერ დენს მაინც ყიდულობს.

ბოლო წლებში ელექტროენერგიის ძირითადი მიმწოდებელი რუსეთია. იქ ნაყიდი ელექტროენერგია ოკუპირებულ აფხაზეთზეც ნაწილდება. მაგალითად, შარშან, 2023 წლის იანვარ-ნოემბერში ელექტროენერგიის იმპორტის მოცულობა 682 მლნ კვტ.სთ იყო, რაც თითქმის სრულად აფხაზეთმა მოიხმარა.

შარშან დანარჩენმა საქართველომ იმპორტს, სავარაუდოდ, თბოსადგურების ხარჯზე აარიდა თავი. თუმცა თბოსადგურების გამოყენებაც სხვის რესურსებზე დამოკიდებულებას ნიშნავს. ძირითადად იაფ გაზზე, რომელსაც საქართველო სამხრეთ კავკასიის გაზსადენით გატარებული გაზის სანაცვლოდ აზერბაიჯანიდან იღებს.

პრემიერის განცხადებით, მთავრობა ელოდება, რომ ხელშეწყობის ახალი მოდელით 2 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია ჩაიდება ენერგეტიკის სექტორში, ამას გარდა, 3 წელიწადში ქვეყანას 1500 მეგავატი სიმძლავრის ჰიდრო, მზისა და ქარის ელექტროსადგურები შეემატება.

ამ სქემით, აუქციონს ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს და 15-წლიან ხელშეკრულებას იმ კომპანიებთან აფორმებს, რომლებიც სახელმწიფოს დენის ყველაზე დაბალ ფასს სთავაზობენ.

**ანუ სახელმწიფო 15 წლის განმავლობაში იყიდის კონტრაქტში დადგენილ ფასად დენს, თუმცა განსხვავებული პირობებით:**

- **ჰესებისგან – წელიწადში 8 თვე;**
- **ქარის ელექტროსადგურებისგან – წელიწადში 9 თვე;**
- **მზის ელექტროსადგურებისგან კი – მთელი წელი.**

**„ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში აუქციონის დროს ყველა ტექნოლოგია ერთმანეთს ეჯიბრება“,** – ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ დირექტორი **დათო ჭიპაშვილი.** იგი აკრიტიკებს მთავრობის სქემას, რომლითაც აუქციონი ჰესების, ქარისა და მზის სადგურებისთვის ცალ-ცალკე გამოცხადდება.

**„ამას გარდა, ამ მექანიზმის მთელი არსი არის ის, რომ ქვეყანაში უნდა ფუნქციონირებდეს ელექტროენერგეტიკის ბირჟა, რადგან ეს მექანიზმი მოჭრილად ტარიფზე შეთანხმებას არ გულისხმობს. ბირჟა თუ არ ირთვება, მაშინ რა აუქციონს ატარებ?!“** – ამბობს **ჭიპაშვილი.**

საქმე ისაა, რომ ამ სქემით, დენის მწარმოებელს ელექტროენერგია გასაყიდად ენერგეტიკულ ბირჟაზე გააქვს და საბაზრო ფასს ადგენს. სხვაობას საბაზრო და კონტრაქტში ჩაწერილ ფასს შორის კი სახელმწიფო კომპანია ესკო (ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი) ანაზღაურებს.

მაგალითად, თუ ხელშეკრულება რომელიმე კომპანიასთან დადებულია შვიდ ცენტზე, ბირჟაზე კი დენის ფასი ხუთი ცენტია, მაშინ ესკოს მოუწევს დამატებით ორი ცენტის გადახდა თითოეულ კილოვატსაათში. თუ პირიქით მოხდა და ბირჟაზე ათი ცენტი ეღირება დენი, მაშინ კომპანიას მოუწევს ესკოსთვის სამი ცენტის დაბრუნება.

თუმცა, საქართველოში ენერგეტიკული ბირჟა არ არსებობს. მთავრობამ ბირჟაზე ელექტროენერგიით ვაჭრობის დაწყება ჯამში ექვსჯერ გადადო. ეკონომიკის სამინისტროში რადიო თავისუფლებას უთხრეს, რომ ბირჟის ამოქმედებამდე, გარდამავალ პერიოდში ესკო ათვლის წერტილად იმ ფასს აიღებს, რა ფასადაც ის იმ მომენტისთვის ჰესებისა და იმპორტიორებისგან ყიდულობს დენს.

ჰესების დაფინანსება საქართველოში 2017 წლიდან შეაჩერეს. მანამდე სახელმწიფო წინასწარ განსაზღვრულ ფასად ყიდულობდა დენს ადგილობრივი კომპანიებისგან.

**„ფაქტობრივად ინდივიდუალური მოლაპარაკების გზით დგებოდა ხელისუფლებასა და ინვესტორს შორის. ამიტომ ძალიან დიდი კორუფციული რისკი იყო“,** – ამბობს საქართველოს რეფორმების ასოციაციის [GRASS] მთავარი ეკონომისტი **ვალერი კვარაცხელია.**

ამის გამო და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის შემდეგ, ასეთი ხელშეკრულებების გაფორმება სახელმწიფომ შეწყვიტა.

თუმცა კვარაცხელია ახალ მექანიზმშიც „ვერ ხედავს“ კორუფციული გარიგების აღმოფხვრის გარანტიას: „ქაღალდზე კი მოიხსნა ფასზე შეთანხმების რისკი, მაგრამ პრაქტიკაში რა იქნება, არავინ იცის. ყოველთვის არის შესაძლებელი იცოდე, როგორი გენერაციის ტექნიკური მახასიათებლები აქვს შემუშავებული კონკრეტულ კომპანიას და გამოაცხადო ეს აუქციონი ისეთი ფორმით, რომ იმ კომპანიამ მოიგოს. ანუ ტენდერში ფასზე შეთანხმების რა პრინციპებიც მუშაობს, ისინი აქაც არ არის უგულებელყოფილი“.

ქვეყანაში ჰესები მხოლოდ სახელმწიფოს სხვადასხვა დაფინანსების მექანიზმით ვერ აშენდება. ქარისა და მზის სადგურებისგან განსხვავებით, ჰიდროსადგურების აშენებას მოსახლეობა ეწინააღმდეგება. სხვადასხვა წლებში მოსახლეობის პროტესტის გამო ქვეყანაში სამი დიდი ჰიდროსადგურის მშენებლობა შეჩერდა: ხუდონის, ნენსკრასა და ბოლოს ნამახვანის.

**„მოსახლეობას აქვს განცდა, რომ ინვესტორის მიერ ჩადებული ინვესტიცია, მიღებული შემოსავალი და მოგება მხოლოდ მასთან რჩება. შევიმუშავეთ კანონპროექტი, რომელიც ამ ტიპის რისკებს აზღვევს“,** – გვეუბნება განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის (GREDA) აღმასრულებელი დირექტორი **მაია მელიქიძე**. ამ ცვლილებით, ჰესების აშენებით მიღებული ფინანსური სარგებელი ადგილობრივ თემსაც რჩება. თუმცა მიქელაძე ხელისუფლებას სთხოვს, რომ ამ იდეის მიღებაში დაეხმაროს.

სახელმწიფო ელექტროსისტემის პროგნოზით, ეკონომიკის ზრდის პარალელურად დენის მოხმარება შემდეგ წლებშიც გაიზრდება.

**დეკემბრის ბოლოს ეკონომიკის სამინისტრომ ელექტროენერგიის წარმოების უკვე მეორე აუქციონი გამოაცხადა. პირველი აუქციონი 2023 წლის დასაწყისში ჩატარდა. თუ შერჩეული პროექტები აშენდება, ქვეყანას 800 მეგავატი სიმძლავრის სადგურები შეემატება.**

**მთავრობას ამ სქემით 1500 მეგავატი სიმძლავრის ჰესების აშენების იმედი აქვს, რომელიც სავარაუდოდ ასე გადანაწილდება: 60%-ზე მეტი ჰესებზე, დანარჩენი კი ქარისა და მზის სადგურებზე უნდა მოვიდეს.**

**მარიამ ვარადაშვილი**

# თბილისის დედაქუჩის რეაბილიტაციისთვის ტენდერი გამოცხადდა



## რომელი შენობებით იწყებს მერია?!

**თბილისში, რუსთაველის გამზირის №24 და №26-ში მდებარე შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისთვის ტენდერი ცხადდება. შემსყიდველი ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდია. წინადადებების მიღება 27 იანვარს დაიწყება და 30 იანვარს დასრულდება. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 284 480 ლარია.**

როგორც ტენდერის ტექნიკურ დოკუმენტაციაშია აღნიშნული, მიმწოდებელი ვალდებული იქნება საპროექტო მომსახურება შეასრულოს ტექნიკური წუნის გარეშე და მის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს სანებართვო დოკუმენტაციის მოპოვება და ზედმიწევნითი სიზუსტით სამშენებლო სამუშაოების წარმოება. სამუშაოების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტს 150 კალენდარული დღისა.

**პრეტენდენტს 2018 წლიდან ტენდერის გამოცხადების დღემდე პერიოდში შესრულებული (დასრულებული) უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 (ერთი) კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობის (ნაგებობა, რომელიც ქმნის გადახურულ სივრცეს, შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღუდავი კონსტრუქციებით) სამშენებლო ან/და სარეაბილიტაციო პროექტი, რომლის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების არანაკლებ 100%-ისა.**

თბილისის განვითარების ფონდის დამფუძნებელი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტია, ფონდის გამგეობის თავმჯდომარე კი თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანი.

# ეს ათასობით ღარიბს აინტერესებს

## ორ მილიონამდე მსესხებელი და 44 მილიარდზე მეტი გაცემული კრედიტი

## საქართველოს რამდენი მოქალაქეა „შავ სიაში“

**საქართველოში მსესხებლების თითქმის 11%-ს ვადაგადაცილება უდასტურდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი კრედიტს ვერ იხდიან.**

2023 წლის დეკემბრის სტატისტიკის მიხედვით, 30 დღიდან 3 წლამდე ვადაგადაცილება 201 047 მსესხებელს უფიქსირდება, კონტრაქტების რაოდენობა კი 383 830-ს შეადგენს, რაც შეეხება თანხას, ნაშთი 2 მლრდ ლარს აღემატება.

საერთო ჯამში, 2023 წლის დეკემბრის ბოლოს არსებული მდგომარეობით საქართველოში საფინანსო სექტორის ვალი 1 928 641 ადამიანს აქვს, ჯამში 44 104 324 482 ლარის მოცულობის.

მსესხებლების უმეტესობა საბანკო სექტორზე მოდის, კერძოდ, დეკემბრის მდგომარეობით, ბანკებიდან 40 249 353 715 ლარის მოცულობის კრედიტი სულ 1 583 704 მსესხებელს აქვს აღებული. ვადაგადაცილება კი ბანკის მსესხებლების 7.1%-ს უფიქსირდება, რაც რაოდენობრივად 108 168-ია. გარდა ამისა, სებ-ის მიერ სხვა რეგულირებადი საფინანსო ინსტიტუტების (მიკროსაფინანსო, სესხის გამცემი სუბიექტი) კრედიტორი 751 073 ადამიანია, გაცემული სესხების მოცულობა კი 3 323 100 481 ლარს შეადგენს. ხოლო ვადაგადაცილება ამ საფინანსო ინსტიტუტების 290 826 მსესხებელს უფიქსირდება.

20 379 ადამიანს კი ჯამში 531 870 286 ლარის სესხი აღებული აქვს სალიზინგო, სამშენებლო და სხვა ტიპის კომპანიისგან, საიდანაც ვადაგადაცილება 4 881 ადამიანს უდასტურდება.



# დამსახურებული აღიარება



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულითადად ულოცავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ამავე აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ გივი ჯაფარიძეს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს.**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტომა, პროფესორმა გივი ჯაფარიძემ განვლო სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის მეტად მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი გზა და როგორც სატყეო მეურნეობის ეკონომიკის დარგის ღვაწლმოსილმა პროფესიონალმა და თვალსაჩინო მეცნიერმა დამსახურებულად მოიპოვა აღიარება ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის შესაბამისი პროფილის მეცნიერებს შორის. მის მიერ საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებული 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება გლობალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, საქართველოს ტყის კოდექსის შექმნასა და სხვა საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებს, სატყეო საქმისა და ეკონომიკის სხვა დარგების ექსპერტიზას, კარგად არის ცნობილი სატყეო ეკონომიკის შემდგომი წინსვლის პერსპექტივებით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის. ამ ნაშრომებში დასაბუთებულია დარგის ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები, კვლევების შედეგების გავრცელება-დანერგვა და კომერციალიზაცია.

პროფესორი გივი ჯაფარიძე, როგორც მაღალი დონის მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტში. იგი არჩეულია საქართველოს აგროტექნოლოგიური აკადემიის წევრად, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად და სხვ.

საქართველოს ღირსეულ მამულიშვილს, ბ-ნ გივი ჯაფარიძეს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, შემდგომ წარმატებებსა და ნაყოფიერ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის აგრარული მეცნიერების განვითარების საქმეში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# პედაგოგი, მეცნიერი, მამულიშვილი

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უდიდესი პატივისცემით ულოცავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გივი ჯაფარიძეს 80 წლის იუბილეს. ბატონი გივის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა, რომელიც 5 ათეულ წელს ითვლის, ქვეყნის ღირსეული მამულიშვილობის მაგალითია.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტროს საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიასთან მრავალწლიანი წარმატებული თანამშრომლობის ისტორია აქვს, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ბატონ გივი ჯაფარიძეს.

თანამშრომლობის ფარგლებში, არაერთი საკითხი განიხილება, მათ შორის, ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ღონისძიების დაგეგმვის და წარმატებით განხორციელების მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია სამინისტროსა და აკადემიას შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარების აქტუალური საკითხების განხილვას, ანალიზს, შეფასებას და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას.

სამინიტრო კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართველი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, პედაგოგის, უშრეტი ენერგიის მქონე ადამიანის, ბატონი გივი ჯაფარიძის მიმართ პატივისცემას, გამოხატავს მადლიერებას თანამშრომლობისთვის და დღეგრძელობას და წარმატებებს უსურვებს მას.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

# გერმანელი პროფესორების აღიარება

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონია გაიმართა,** – ამის შესახებ ინფორმაციას თსუ ავრცელებს.

მათივე ცნობით, ღონისძიებაზე თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ გერმანიის ტიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორს, დოქტორ ბერნდ ჰაინრიხსა და ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფესორს, დოქტორ მარტინ ჰეგერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომები გადასცა.

## ჯაბა სამუშიამ თსუ-ს საპატიო დოქტორებს დიპლომები გადასცა



**„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებებით, პროფესორებს დოქტორ ბერნდ ჰაინრიხს და დოქტორ მარტინ ჰეგერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობისთვის, უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობასა და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი წვლილისთვის მიენიჭათ.**

**საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ერნსტ პეტერ ფიშერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი თამარ ზარანდია, ქართველი და გერმანელი სპეციალისტები, პროფესორები, სტუდენტები ესწრებოდნენ.**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ გერმანელი პროფესორების მიერ ქართულ-გერმანულ სამეცნიერო თანამშრომლობაში შეტანილ წვლილზე ისაუბრა. როგორც რექტორმა აღნიშნა, პროფესორები ბერნდ ჰაინრიხი და მარტინ ჰეგერი მრავალი წელია თანამშრომლობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას საქართველოში.**

**„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება არის ის უმაღლესი ჯილდო, რომელსაც ვანიჭებთ უცხოელ პროფესორებს იმ ღვაწლისთვის, რომელიც მათ გასწიეს ჩვენს უნივერსიტეტთან თანამშრომლობისთვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მაღალი რანგის პროფესორები ხდებიან ჩვენი საპატიო დოქტორები. გამორჩეულია მათი სამეცნიერო მუშაობა – მათი მონაწილეობით და მხარდაჭერით მომზადდა არაერთი სახელმძღვანელო და სტატია, ასევე, ბევრმა ჩვენმა ახალგაზრდა იურისტმა მათი დაიხმარებით გაიკვალა გზა წარმატებისკენ. ვიმედოვნებ, ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება და გაძლიერდება“,** – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

**„ჩემი აკადემიური კარიერის განმავლობაში, ეს არის ყველაზე საპატიო ჯილდო. ჩვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება გვაქვს, ერთობლივად ვახორციელებთ არაერთ პროექტს და ეს ჯილდო არის სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგი“ – აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა პროფესორმა მარტინ ჰეგერმა.**

**პროფესორები ბერნდ ჰაინრიხი და მარტინ ჰეგერი 2006 წლიდან არიან ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა გაცვლითი სემინარის „Netzwerk Ost-West“ თანაორგანიზატორები; ბერლინის ჰუმბოლდტისა და ტიუბინგენის ებერჰარდ კარლსის სახელობის უნივერსიტეტებში ქართველი დოქტორანტების ხელმძღვანელები და მრავალი ქართველი მოწვეული მეცნიერის მასპინძლები; საქართველოში მრავალი კონფერენციისა და შეხვედრის მონაწილეები. ასევე, არიან გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის (DGSTZ) და ციფრული სისხლის სამართლის ტერმინების ქართულ-გერმანული ჟურნალის (DGDSG) თანადამფუძნებლები და თანარედაქტორები; 2016-2021 წლებში გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის – „საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი ევროპული და საერთაშორისო სამართლის გავლენის ქვეშ“ – პარტნიორები; საქართველოში განხორციელებული მრავალი საზათვხულო სკოლისა თუ პროექტის ხელმძღვანელები და მონაწილეები.**

**საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზებით საპატიო დოქტორებმა გამართეს საჯარო დისკუსია თემაზე – „სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური ასპექტები გერმანიაში, საქართველოსა და ევროპაში“,** – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

№5. ორშაბათი, 15 იანვარი, 2024 წელი.



# საკუთარი თავის შეცნობის შიში ოთარ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელის“ მიხედვით

## ოთარ იოსელიანის შემოქმედების შესახებ

### 1. ამბივალენტური ლურსმანი – ქმედებათა ჯამი

**ოთარ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელის“ თემა შემოქმედის ცხოვრებაა, მისი ბედი. ამის დასტურად ფილმის ბოლო კადრში მუსიკოსი გმირის მაგიდაზე უქმად დადებული ოთხხაზიანი სანოტო ფურცლის ანალოგი გაკრთება ტროტუარზე, როგორც მინიშნება და შეხსენება, რომ მასზე არაფერი დაიწერა. გია აგლაძის აბსურდული სიკვდილით აღსრულება მიგვახვედრებს და გაგვაცნობიერებინებს, რომ ქართველი რეჟისორი იზიარებს ჟან-პოლ სარტრის მოსაზრებას:**

„...ადამიანი არაფერს წარმოადგენს გარდა საკუთარი ცხოვრებისა. ...პრუსტის გენია – ეს პრუსტის ნაწარმოებებია“.

სიზუსტისადმი სწრაფვამ ოთარ იოსელიანს ათქმევინა: **„კინოკამერას ადამიანების სულიერ სამყაროში შეღწევა არ შეუძლია...“.** თუმცა სწორედ ამ სიზუსტემ აპოვნინა თავისი მუშაობის მეთოდი: არასოდეს მიენდოს საკუთარ წარმოსახვას, ან რაიმე იდეას. და თავისი სიზუსტის კრიტერიუმად – საწყის წერტილად აიღოს პერსონაჟის ხასიათი, რომელსაც კონკრეტულ გარემოში ჩააგდებს და ის თავად, მოქმედებათა თანმიმდევრობით „დაწერს“ ფილმის ზუსტ „ტექსტს“. ასე ხდება ამ შემთხვევაშიც. შენელებულ კადრში, მესაათის სახელოსნოს კედელზე ლურსმნის ჩვენებით, თითქოს რეჟისორი კი არა, თავად მთავარი გმირი, თავად აწ გარდაცვლილი გია აგლაძე განგვიმარტავს თავისი სიცოცხლის ველს: ეს ერთადერთი ლურსმანი კედელზე ხომ მისი ცხოვრების ქმედებათა ჯამია, რაც ერთი შეხედვით ქუდის (ყოვლად უმნიშვნელო საგნის) ჩამოსაკიდად თუ გამოდგება. თუმცა ავტორისეული ორაზროვნება სახეზეა – ლურსმანზე ხომ ჩვენი ღირსების სიმბოლო - ქუდი აღმოჩნდება.

### 2. შემოქმედი ბრბოს მახასიათებლით, ანუ მე ვარ არავინ

**საგანგაშო ის არის, რომ ფილმში „იყო შაშვი მგალობელი“ გია აგლაძე, შემოქმედი-მუსიკოსი, ბრბოს ნიშნითაა დაღდასმული.**

ბრბოსთვის დამახასიათებელი თვისებებიდან მისთვის ნიშნეულია 1. გულმავიწყობა, ანუ მეხსიერების არქონა; 2. უაზრო ცნობისმოყვარეობა და, რაც მთავარია – 3. პანიკური შიში, დარჩეს მარტო – დარჩეს საკუთარი თავის წინაშე, ასე შეიცნოს თავისი თავი და სულიერად დაიბადოს. ერთი შეხედვით, მისი ღიმილი გენიოსის დაბნეულ ღიმილს მიაგავს, მაგრამ სინამდვილეში, ამ მორცხვი ღიმილის იქით მისი სულის სიცარიელე გამოსჭვივის, რადგან ის გენიოსის იმიტირებით თავის თავს ემალება და **ამ სხვაში ის იქცა არარად.** მას საკუთარი სულის სიცარიელე აძრწუნებს და, ამიტომაც, პანიკური შიშით შეპყრობილი, მთელი ფილმის განმავლობაში რბის. სიკვდილის შიშია მისი წარმმართველი და ყოველ წამს, როცა ის ვითომცდა უაზრო ცნობისმოყვარეობითა და მიამიტი სახით დგება ვიღაცის წინაშე – იქნება ეს გეოდეზისტი, მესაათე, ქირურგი, თუ ოპერატორი, ის ემალება მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილის შიშს. მან არ იცის, ვინ არის და ამის გამო მისი ყოველი ქმედება მექანიკურია, ხოლო ყოველი მისი ურთიერთობა ადამიანთან დროებით მიჯაჭვულობას გამოსახავს. მის მიერ თავისუფალი კაცის იმიტირებაც კი, გარეგნული დაუდევრობა, თუ დაგვიანება – ვერ მალავს, რომ ეს ის ადამიანია, რომელიც ხაფანგშია გაბმული.

### 3. საგნად ქცევა

**თუ გია აგლაძის დუნე საქციელს დავაკვირდებით, ის გარემოებათა ხელში სათამაშო ხდება, ანუ იმ საგნად გარდაისახება, რომელსაც ყველა თავისი მცირე, წუთიერი საჭიროებისათვის იყენებს, რადგან ის თავად სთავაზობს მათ თავს – მზადაა იყოს საგანი. მისი გული ყველაფერს აისხლეტს, რადგან ის ყოვლად უგრძნობელია, გულგრილი ყველაფრის მიმართ.**

ამიტომაც გია აგლაძე ისე უახლოვდება და შორდება ადამიანსა თუ საგანს (მისთვის არსებითი განსხვავება მათ შორის არც არსებობს), რომ ახსოვს, ვიდრე უყურებს და მყისვე ავიწყდება. კანონზომიერია, რომ ის დაურიდებლად არღვევს ქართული სუფრის ტრადიციის უმთავრეს პირობას - სუფრასთან ერთად მსხდომნი უდიდესი პატივისცემით, მოწიწებითა და სიყვარულით არიან გაერთიანებულნი. მას კი, როცა ერთი სუფრიდან მეორეზე გაიხმობენ, მყის ავიწყდება, რომ პირველ სუფრაზე იყო მიწვეული და დილამდე უაზროდ, ინერციით შემორჩება ამ უკანასკნელს. ძალიან მნიშვნელოვანია, რასაც საყვედურის კილოთი ეუბნება პირველი სუფრიდან ერთ-ერთი პერსონაჟი: „შენ ჩვენ გული გვატკინე!“



გია აგლაძე წესით გულშეძრული უნდა დარჩენილიყო, მაგრამ მას თავისი უგრძნობელობის წყალობით მყის ავიწყდება ეს სიტყვები და იმ ვიღაცას შეჰყურებს დარბაზში, რომელიც პიანინოზე უკრავს. ამის მიზეზი გმირის არსებითი სენია, თანამედროვე გაუცხოებული, აბსურდული სამყაროს დაავადება – ეს არის **უსიყვარულობა,** უფრო ზუსტად კი **გულგამოცარიელება.** ამიტომაც მას მეხსიერება არ გააჩნია, ის მეხსიერება, რომელიც გულის თვისებაა. ის ერთი საგნიდან მეორე საგანზე ისე გადადის, რომ პაუზა არ გააჩნია და, როგორც მ. ჰაიდეგერი იტყოდა, **ის ყველგანაა და არსად არ არის.** ეს ნიშნავს, რომ ის არც უახლოვდება და არც შორდება რეალობას. ამიტომაც ყოველი მისი საქციელი ორაზროვნების დამღას ატარებს და, შესაბამისად, არასოდეს შეუძლია სათანადო პასუხი გასცეს. მისი **ჰო** და მისი **არა** – ორივე ერთნაირად უწონადოა, ისევე, როგორც მისი საუბარი, მისი ქმედება, მისი მზერა, მისი ღიმილი.

### 4. საკუთარი თავისგან გადამალვა და სიკვდილის შიში

**ეს არის ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს ემალება, საკუთარი თავის ეშინია.** ამიტომაც მას ინსტინქტი მუდამ ჩასჩურჩულებს, რომ არასოდეს დარჩეს თავისი თავის პირისპირ, რათა არ აღმოაჩინოს, რომ ის არ არსებობს: **ის არის სხვა,** ...ხშირად იმეორებს: **მე დრო არ მყოფნის; ბევრი საქმე მაქვს.** ეს ფრაზები უფრო მეტად ცხადყოფს მის სხვადყოფნას. ის საერთოდ არ იცნობს საკუთარ თავს და, ცხადია, საკუთარი თავის შეფასებაშიც არაადეკვატურია. მისი მთავარი მახასიათებელია **მარტოობის შეუძლებლობა.** ამიტომაც **ვიღაც სხვა უნდა ჩააყენოს თავის თავსა და მოსაუბრეს შორის,** რათა საუბარი შედგეს. ეს კომიკური გაუცხოება „იყო შაშვი მგალობელში“ მრავალჯერ მეორდება, ანუ, ყოველი საუბრისას მისი სხვა დგება სიტუაციის პირისპირ. მაგ., მესაათე მთელი სერიოზულობით ცდილობს, თვალი აუხილოს და ასე არიგებს: „ჭკუით! ჭკუით! თავს სინანული სჯობია ბოლო ჟამს დანანებასა!“ ან, „ვითომ არც კი იცოდე, ასე რატომ გაფრთხილებთ“. ის კი, იმის ნაცვლად, რომ მესაათის რჩევას ყური დაუგდოს, სახელოსნოს მინის იქით მდგარ მშვენიერ, უცნობ ქალიშვილს შეჰყურებს და მისი ფიქრებიც მას მისდევს, რადგან ხმამაღლა, დაურიდებლად ამბობს: „რა მშვენიერი ეგზემპლარიაო!“ დიახ, ის არ ამბობს, რა მშვენიერი გოგონააო! მისთვის ხომ ადამიანები ეგზემპლარები არიან და არა პიროვნებანი.

### 5.სათაური – ვერდიქტი

**ერთი შეხედვით, ფილმის თემა კარგად ნაცნობი იყო ქართველი საზოგადოებისთვის, მაგრამ განსხვავება ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?!“ ლუარსაბ თათქარიძესა და ოთარ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელის“ გია აგლაძეს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ეს კაცი, რომელიც უაზროდ ფლანგავს ბოძებულ სიცოცხლეს, თავის ნიჭსა და ენერგიას, არა ვინმე უფერული არსებაა, არამედ უაღრესად დიდი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი. ის, რაც სხვათათვის ბეჯითი შრომისა და მოთმინების საზღაურია, მისთვის ყოველგვარი ძალისხმევის გარეშეა მისაღწევი.**

მაგ.: სცენა პიონერთა სასახლიდან - ის რეპეტიციის დროს შედის დარბაზში, მყისიერად იღებს სასურველ ნოტს და უმისოდ ვერშემდგარი რეპეტიციაც შედგება. ამიტომაცაა, თუ „კაცია ადამიანი?!“ ცრემლნარევი სიცილით იკითხება, „იყო შაშვი მგალობელი“ – უკვე მკაცრი განაჩენია, ცივი ირონიით რომ წარმოითქმის და ასე ხაზგასმული რომაა სათაურში, რომელსაც რეჟისორი ქართულ ხალხურ ზღაპარს დაესესხა: „იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“.

და, მართლაც, გია აგლაძის უფლის ჩიტად, შაშვ-მგალობლად წარმოდგენისას სათაურიდან ხარხარი ჩაგვესმის, მაგრამ გავიმეორებ – ეს არ არის გადამდები, გულიანი ხარხარი. ეს ის ცივი, სარკასტული ხარხარია, საზოგადოების გამოჩენილ – შემოქმედ ადამიანებს რომ ემართება. თითქოს რეჟისორი ფილმით გვეკითხება: არის კი ასეთი შემოქმედი ღვთის ხატი?

### 6. ამბივალენტური ლურსმნის გასაღები – ორ სამყაროში გახიდული აბსურდის გმირი

**შესაძლებელია კი ასე კრიტიკულად, ასე მკაცრად და სწორხაზოვნად შევაფასოთ გია აგლაძე?**

მით უფრო, თუ გვახსოვს ოთარ იოსალიანის ფრაზა: **„ამ გმირს ეჭვის ჭია ღრღნის“.** ხომ არ ნიშნავს რეჟისორის ეს აზრი იმის ხაზგასმას, რომ გია აგლაძე აბსურდის გმირია? ამ ვარაუდის დადასტურებად მიგვაჩნია გმირის მიერ პლანეტა მერკურის შესასწავლად მომზადებული ტელესკოპის რაკურსის შეცვლა, შეტრიალება თავისი სახლის, დედისა და მეზობლების, ანუ თავისი ყოფიერების მიმართულებით და მათი „შესწავლის მცდელობა“, როდესაც, ერთი კინოკრიტიკოსის აზრით, „სამეცნიერო ინსტრუმენტი კლასიკური მენტალობის სიმბოლოდ იქცევა“. გასაგებია, რომ ამით რეჟისორი ალბერ კამიუს ცნობილი მოსაზრების პერიფრაზირებას ახდენს, რომლის თანახმადაც ყველა მეცნიერულ აღმოჩენასა თუ ფილოსოფიურ პრობლემაზე მაღლა დგას ადამიანის ერთადერთი და მნიშვნელოვანი ღირებულება – **საკუთარი თავის ძიება.** ეს აღმოჩენა გვაიძულებს, ხელახლა გავიაზროთ მთავარი გმირის ქმედებათა ჯამი – ლურსმნის ამბივალენტური მნიშვნელობა – ყოვლად უმნიშვნელო საგნიდან ჩვენი ღირსების სიმბოლომდე. და აღმოჩნდება, რომ ფილმი ბევრად რთული და მრავალპლანიანია, ვიდრე აქამდე გვეგონა; ალბერ კამიუს თანახმად ადამიანის ღირსება პასუხის გაცემაა ფრაზაზე: **„ღირს თუ არა ცხოვრება იმად, რომ იცხოვრო, ანუ გადაწყვიტო საკითხი თვითმკვლელობისა“.**

ფილმის ორ პროლოგში იხაზება ორი მოურიგებელი სამყარო. ჰარმონიული – როცა გმირი ბუნების წიაღში განმარტოებით ზის და ჩაესმის თავისი შინაგანი, მარადიული ხმა (ბახის მუსიკით გაჟღერებული, რასაც აკომპანირებას უკეთებს მისი **ალტერ ეგოს –** შაშვის თავდავიწყებული გალობა). მაგრამ კადრი მოულოდნელად იცვლება, როგორც წამიერი მოლანდება და უმალ გავიწყდება. თუმცა მას ენაცვლება მთის ჩანჩქერის სილამაზე, როგორც სიცოცხლის აურწყავი სიხარული და შესაძლებლობა. მაგრამ კადრი ისევ მკვეთრად იცვლება და მეორე სამყაროში ვექცევით – ეს მანქანების სულისშემხუთველი უწყვეტი ნაკადია, ეს ერთგვარი გაგრძელება თუ ინტერპრეტაციაა გია აგლაძის, ამ დიდი ტალანტით დაჯილდოებული შემოქმედის, აბსურდული ყოფის რიტმისა. მას ხომ ყოვლად უმნიშვნელო ადგილი აქვს




სამყაროს ამ მოდელში – ოპერის ორკესტრში, სადაც მისი როლი ხუთწუთიანი რეპერტუარით ამოიწურება. ისიც ნიშნეულია, რომ აბსურდის გმირი დოლზე უკრავს. ეს ერთგვარი ირონია და ნიშნის მოგებაა გმირის ცხოვრების მიმართ. რადგან ის უკრავს დოლზე, რომლის თითოეული დარტყმა თითქოსდა ადამიანის სულს უნდა უბრძანებდეს: – **ადექი! იფხიზლე!** მაგრამ ამ გმირის ცხოვრება, ძილქუშისა და მცონარობის მაგალითია, უაზრო ფაცაფუცია. ამ ფონზე, ეს შეუსაბამობა სასაცილოა და, ცხადია, აბსურდიც. გამოდის, რომ მთელი ფილმის განმავლობაში გია აგლაძე არა მარტო უაზროდ ფაციფუცობს, ის იტანჯება კიდეც. მაგრამ ვერა და ვერ პოულობს გამოსავალს, რადგან ერთი მხრივ შინაგანი ხმა, რომელიც ბუნების წიაღში ჩაესმის (ბახის მარადიული მუსიკა – აკომპანირებული შაშვის გალობით), ან მთის კბოდედან ჩამოშვავებული ჩანჩქერის სილამაზე და სიცოცხლის დიადი ძალა, მეორე მხრივ კი ქალაქის სულისგამომფიტველ, უსაგნო აურზაურში ჩაფლული აბსურდული სამყაროს „საზრისი“, სრულიად სხვადასხვა ჟღერადობისა და შინაარსისანი არიან.

### 7. ვერდიქტი ისევ სახეზეა

**და მაინც, მესაათის სახელოსნოში გამოტანილი ვერდიქტი ისევ სახეზეა.**

რადგან აქ, შენელებულ კადრში, საათის მონოტონური წიკწიკის თავზარდამცემი ხმა, ჯალათის მიერ სიკვდილმისჯილის თავის მოსაკვეთად ჰაერში ზეაღმართული ნაჯახის ასოციაციას რომ იწვევს, რეჟისორის მკაცრ განაჩენს გვიდასტურებს. აკი ალბერ კამიუ წერს: **„აბსურდს აზრი გააჩნია, თუ მასზე უარს აცხადებენ!“** ჩვენ უკვე გავაცნობიერეთ, რომ გია აგლაძე აბსურდზე უარს არ აცხადებს. და, თუმცა, ფილმში თანამედროვე, აბსურდული სამყაროა გამოხატული, ამის მიღმა მაინც იგრძნობა, რომ სამყარო თავისთავად სრულყოფილი ქმნილებაა ღვთისა, რომელსაც ადამიანმა თავისი კვალი უნდა დაატყოს. სხვაგვარად რეჟისორის მკაცრი განაჩენი ყოვლად გაუმართლებელი და უაზრო იქნებოდა.



**ჟაკლინ სირაძე**

**მწერალი, ლიტერატურათმცოდნე.**

**(გაგრძელება იქნება)**

№5. ორშაბათი, 15 იანვარი, 2024 წელი.

# ქართული ანბანი ხელისგულზე



მაშა ოვჩინიკოვა და ფიოდორ დიუჟენკო

**საქართველოში ჩასულმა მხატვარმა, რომელიც ომს მოშორდა რუსეთიდან, მაშა ოვჩინიკოვამ თავის ვაჟთან ერთად თბილისში ხელნაკეთი წიგნების გამომცემლობა „ნიაბი" გახსნა.**

**ეს წიგნები ხელისგულზე ეტევა და თითოეული მათგანი ხელოვნების ნიმუშია. მათი შინაარსი კი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია: ქართული ანბანიდან — ანტისაომარ პოეზიამდე. რადიო თავისუფლების პროექტის „სევერ.რეალიის" კორესპონდენტი იმყოფებოდა სახელოსნოში, როცა გამოსაცემად მზადდებოდა ხელნაკეთი წიგნების საშობაო სერია.**




გემრიელი ქართული ანბანი

## როგორ გახსნა რუსეთიდან გამოქცეულმა მხატვარმა ხელნაკეთი წიგნების გამომცემლობა თბილისში

**უზარმაზარი მაგიდა დიდ ოთახში სავსეა წიგნებით, ნახატებით, მუყაოს ფურცლებითა და ხელით გამოჭრილი ქაღალდებით, ყუთებში საღებავებითა და ფლომასტერებით და კიდევ უამრავი სხვა რამით, რომელთა დანიშნულებას გამოუცდელი თვალი ერთი შეხედვით ვერ მიხვდება — მაგალითად, ასოებით, რომლებიც ხის პატარა კუბებზე ან საშლელზეა ამოტვიფრული.**

თბილისში ამ ბინაშია ხელნაკეთი წიგნების პატარა გამომცემლობა, „ნიაბი". აქ მუშაობენ მაშა ოვჩინიკოვა, მხატვარი და წიგნის გრაფიკოსი, და მისი ვაჟი, დიზაინერი ფიოდორ დიუჟენკო. ხელნაკეთი წიგნების შექმნა მაშამ ჯერ კიდევ მოსკოვში დაიწყო. მან მოსკოვის დატოვება ომის დასაწყისში ერთი საუბრის შემდეგ გადაწყვიტა.

**— მეზობელი ქალი შემოვიდა, უნივერსიტეტის ლექტორი, და მითხრა, რომ მაღაზიები დააცარიელეს,** — იხსენებს მაშა, — მე ვუთხარი: **„ჰო, ომია და ამიტომაც ყველაფერს იმარაგებენ"**. მან მითხრა: **„სანამ მაგათ ყველას არ მოვსპობთ, კარგს ნურაფერს ელი"**. მე ვუპასუხე: **„ეს — ფაშიზმია"**. მან დამარიგა: **„ოღონდ ეს, ჩემ გარდა, არავის უთხრა"**. იმ საღამოსვე ავიღე ბილეთი და წამოვედი. უბრალოდ ვერ ავიტანე, როცა ეს შენს ახლობლებს, მეზობლებს ემართებათ, აუტანელია. ჩემი ვაჟი უფრო ადრე წავიდა, მაშინვე.

ახლა მაშა და ფიოდორი ერთად მუშაობენ თბილისში.

პატარა კვადრატული წიგნი ქართული ანბანით ხელისგულზე ეტევა. ის ცოცხალია. ღილით იკეტება, უფრო სწორად, რომ გახსნა, ჯერ ღილის გარშემო დახვეული ძაფი უნდა შემოხსნა. სანამ შემოხვეულ ძაფს ხსნი, თითები ნაცრისფერ ყდას ეხება, რომლის ზედაპირი ბავშვის ცხვრის ტყავის ქურთუკს მოგაგონებს. ყდაც ხელნაკეთია. მასში პატარა ოვალური ფანჯარაა, ამ პატარა ფანჯარაში ჯამია, რომელშიც ქართული ასოებისგან შემდგარი კერძია: ანბანი — ქართული დამწერლობა.

თითოეულ ასოზე თითო კერძია, ზოგჯერ სრულიად იოლი, ზოგჯერ კი იმდენად რთული, რომ მის გაბედულ შემდგენელს ენის დაფარულ წიაღში ძებნისთვის არაერთი დღე დასჭირდა, რათა დავიწყებული სიტყვა ეპოვა. უფრო სწორად, ენების წიაღში, იმიტომ, რომ ეს ჩვენთვის არის ქართული ენა — ერთი — სინამდვილეში კი, ის ბევრია. და ეს ენები, ისევე როგორც კერძები, მხოლოდ საქართველოში არ ცხოვრობენ.

ამ ანბანის შედგენაში დედა-შვილს ფილოლოგი, ალექსანდრ როსტოვცევ-პოპელი დაეხმარა. ის პეტერბურგში დაიბადა და გაიზარდა, დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, შემდეგ — დოქტორანტურა გერმანიაში. ბოლო რამდენიმე წელი ხშირად არის ხოლმე საქართველოში. როგორც ამბობს, უნივერსიტეტში შესანიშნავი სამეცნიერო ხელმძღვანელი ჰყავდა, რომელთანაც სწავლობდა საქართველოს ენებს.

**— როცა მაშა ოვჩინიკოვამ მომმართა და „გემრიელი" ქართული ანბანის შედგენა მთხოვა, მაშინვე ცხადი გახდა, რომ ამისთვის მთელი კვლევის ჩატარება იქნებოდა საჭირო. ზოგიერთ ასოზე, მაგალითად, ხ-ზე, ბევრი კერძი აღმოჩნდა: ხინკალი, ხაჭაპური, ხარჩო. მაგრამ ზოგიერთ ასოზე რთულად იყო საქმე,** — გვიამბობს **ალექსანდრი**.

— ამიტომ მომიწია ჩემს მეგობრებთან დაკავშირება, რომელთაც აქვთ რესტორნები და კვების წერტები, სადაც მუშაობენ მზარეულები, რომელთა შეწუხება დაგვჭირდა, რომ ყველა ასოზე რამე კერძის დასახელება გვეპოვა. და ზოგიერთ ასოზე მხოლოდ იმ დასახელებების პოვნა შევძელით, რომლებიც მხოლოდ დიალექტებშია, ლიტერატურული ქართულის მცოდნეთათვის კი — უცნობია. ზოგიერთ ასოზე კერძების დასახელების ძებნა საერთოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოგვიხდა.

ალექსანდრს მოუწია ბევრ კულინარულ სინატიფეში ჩაწვდომა და აჭარულ, მეგრულ და კახურ სამზარეულოებს შორის განსხვავებების შესწავლა.

**— რა არის ხარჩო? ეს არის დაჭრილი ხორცი, ჩახარშული რომელიმე სოუსში. კახეთში მას ჩვეულებრივ, ბრინჯით აკეთებენ, სამეგრელოში კი — გატარებული ნიგვზით. მეგრული ხარჩო უფრო სქელი, სხვა კერძია. კახური ხარჩო, ბრინჯიანი — უფრო წვნიანია. ჰოდა, აი, აღმოჩნდა, რომ რომელიღაც ასოზე მხოლოდ ერთი სიტყვის მოძებნა გახდა შესაძლებელი და ის აღნიშნავს მეგრული ხარჩოს ანალოგს, რომელსაც აჭარაში ამზადებენ. თუმცა, აჭარაში ვერავინ ამიხსნა, რით განსხვავდება ეს კერძი მეგრული ხარჩოსგან — კონსისტენციით, ჟანრით ან თუნდაც ტექნოლოგიით.**

ალექსანდრი ამბობს, რომ მას საუკეთესო დიალექტოლოგები ეხმარებოდნენ მთელი საქართველოდან, რომლებსაც ლექსიკონებში მოუხდათ ქექვა.




### რეზო გაბრიაძეს არ სურდა მოთხრობის მოცემა... ბოლოს, თავი რომ დაგვენებებინა, მოგვცა მოთხრობა ლენინსა და სტალინზე

**— „უ" ასოზე კერძი არ გვაქვს, არამედ ღვინო — „უსახელაური". მაგრამ ეს უნიკალური ღვინოა, რომელსაც სხვაგან ვერ ნახავთ და რომლის ყიდვასაც არავის ვურჩევ: ამბობენ, რომ ამ ღვინის მხოლოდ ორ ტონას აწარმოებენ წელიწადში. და მაღაზიაში 150-200 ლარის მიცემას რაღაც გაუგებარ სასმელში, აზრი არა აქვს, ის არ იყიდება მაღაზიაში. ადგილზე უნდა ჩახვიდე, ლეჩხუმში, სადაც ამზადებენ.**

სინამდვილეში, ეს ჯიში არ არის, ეს არის ყურძნის ოთხი ჯიშის ნაზავი: ორი იშვიათის და ორი უკიდურესად იშვიათის. საქართველოში არსებობს ე.წ. ნალექიანი ყავა, რომლის შემდეგაც ჭიქის კედლებზე ნალექი რჩება. ჰოდა, ამ ღვინის შემდეგაც ნალექი რჩება. ის მძიმეა, წითელი, ნახევრად ტკბილი. ეს არის ერთადერთ „არაკერძი" ჩვენს პატარა წიგნში.

აი, გადავშალეთ ეს პატარა წიგნი:

**ა — აპოხტის ხინკალი — ხინკალი — გამშრალი ხორცით დამზადებული ხინკალი, მესხური კერძი.**

**ბ — ბოზბაში — ცხვრის ხორცის, წვნიანი ბარდითა და წაბლით, აღმოსავლეთქართული სამზარეულო, აზერბაიჯანშიც ამზადებენ.**

**გ — გებჟალია ახლად ამოყვანილი ყველი პიტნით გაზავებულ რძეში — მეგრული საუზმე.**

და ასე შემდეგ, 35 პატარა ოთხკუთხა გვერდი.

საქართველოში 20-ზე მეტი ენაა ექვსი სხვადასხვა ენობრივი ოჯახიდან. მთავარი ენა ქართულია, მაგრამ, მაგალითად, არის სვანური და მეგრული — ალექსანდრის თქმით, ამ ორ ენაზე მოლაპარაკეებს ერთმანეთის არ ესმით.

მეგრული არამეგრელი ქართველისთვის ისე ჟღერს, როგორც ჩვენთვის (რუსულენოვანებისთვის) პოლონური, ფიქრობს ის. ანუ რაღაცის დაჭერა შეიძლება, მაგრამ მეტის არა. სვანური ქართულად მოლაპარაკისთვის, სვანური ვინც არ იცის, ისევეა, როგორც ჩვენთვის გერმანული, მოჰყავს შედარება რუს ფილოლოგს.

პირველი ხელნაკეთი წიგნი მაშა ავჩინიკოვამ ომამდე გამოსცა.

**ის ხშირად ჩადიოდა საქართველოში, ახლო მეგობრობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ რეჟისორსა და მწერალთან, რეზო გაბრიაძესთან და სურდა მისი რომელიმე მოთხრობის წიგნად გაკეთება, მაგრამ დიდხანს დასჭირდა თხოვნა.**

**— არ სურდა მოთხრობის მოცემა, მაგრამ ბოლოს, თავი რომ დამენებებინა, მომცა** — იცინის მაშა, **— შემდეგ, როცა ამ პატარა წიგნმა ბაზელის პრემია მოიპოვა ოდესაში, გაბრიაძე კმაყოფილი იყო და საიდუმლოდ მითხრა, ლენინსა და სტალინზე დაწერილი მოთხრობა მოგეცით, რომელიც არ მიყვარდაო.**

მაგრამ ჩვენ ერთად ვმუშაობდით მასზე, მთელი ორი წელი ვფიქრობდით და ბოლოს გამოგვივიდა, ავტორიც გავახარეთ. თანამშრომლობა გაგრძელდა და რეზო მოსკოვში აღარ ჩამოდიოდა, მე ჩამქონდა ხოლმე და ძალიან უხაროდა.

**ასეთი წიგნის შექმნა იოლია. არსებითად, ყველა ეგზემპლარი ხელითაა გაკეთებული. ახლა მაშა და ფიოდორი ევგენია ბერკოვიჩის ლექსების გამოცემას აპირებენ. (ჟენია ბერკოვიჩი 2023 წლის 5 მაისს მოსკოვში დააპატიმრეს. მას შეუფარდეს მუხლი — „ტერორიზმის საჯარო გამართლება მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოყენებით" სპექტაკლისთვის „ფინისტი — მამაცი შევარდენი") .**

ამ პატარა წიგნის გაყიდვას ისინი აპირებენ წიგნის მაღაზიაში, იმავე ბარში და სახელოვნებო სივრცეში, რომელსაც „აუდიტორია" ჰქვია. შემოსავლით ბერკოვიჩის ოჯახს დაეხმარებიან.

ჟენია ბერკოვიჩის წიგნთან ერთად არის პოეტების, დმიტრი სტორეცევისა და ტატიანა ვოლსკაიას კრებულები, რომელშიც შედის ანტისაომარი ლექსი „ქრისტეშობა — 2022". ერთი ლექსი ერთი წიგნია, მეტი არ ეტევა.

**ამ სერიოზულ წიგნებთან ერთად გამოვცემთ ნახატების სერიას, რომელიც ომს ეძღვნება,** — ამბობს მაშა ოვჩინიკოვა.

ახლა ვმუშაობთ მიხაილ სუხოტინის წიგნზე, ის ჩეჩნეთის პირველი ომის ვეტერანია, წერდა რუსეთის ყველა დაპყრობით ომზე, ძალიან გულშიჩამწვდომი ლექსები აქვს.

მე ისეთი განცდა მქონდა, რომ ამ თემაზე ხატვას ვერ შევძლებდი. ძალიან მძიმეა. ამიტომ დავიწყე ასეთი, რაღაც, ხილული პოეზიის შექმნა.

საერთოდ ბევრს ვფიქრობ, ვერაფრით გამირკვევია, რა უნდა აკეთოს ხელოვანმა, როცა ქვეყანა იქცევა. და არტთერაპიის გარდა ვერაფერი მოვიფიქრე.

სახელოსნოში შრომა მკაცრადაა განაწილებული: მაშა ხატავს, ფიოდორი ბეჭდავს და ქაღალდს ამზადებს — უფრო ხშირად მაკულატურისგან.

**— ნედლეულს სად შოულობთ? მაკულატურა საიდან გაქვთ?**

— ახლა ბევრი აბარებს საბჭოთა გამოცემებს, მაგალითად, გორკის ან ლენინის ნაშრომთა კრებულებს.

გამომცემლობაში ახლა იმდენი ხელნაკეთი წიგნი დაგროვდა, რომ უკვე სერიებად დაიყო. არის ქართული წიგნების სერია, თავისებური მადლიერების გამოხატვა ქვეყნისადმი, რომელმაც ამდენი გასაჭირში მყოფი ადამიანი შეიკედლა, არის ანტისაომარი სერია. საშობაოდ გამომცემლობამ საგანგებო სერია გამოუშვა.

**ქრისტეშობის თითოეული წიგნი, ეს პატარა წარმოდგენაა, შობის სცენის ანუ საკუთრივ შობის მცირე კუთხე. დიდებული დღესასწაული პატარი წიგნის მეშვეობით ხელისგულზე ეტევა, უფრო შინაური ხდება, უფრო ახლობელი და იმედს ბადებს, რომ ყველაფრის მიუხედავად, სასწაული და გადარჩენა შესაძლებელია.**

**„რადიო თავისუფლება"**



გამომცემლობა „ნიაბის" ქრისტეშობის სცენა

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

### **გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -** შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მიერ ქ. სამტრედიაში ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** სამტრედიის მუნიციპალიტეტი

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

**დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 23 თებერვალი, 13:00 საათი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის: რესპუბლიკის ქ. №13)**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ გზშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **12 მარტის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 12-ე მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა 2023 წლის **29 დეკემბერს.** აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

### **გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -** შპს „მშენებელი 77“-ის მიერ კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. აღაიანში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „მშენებელი 77“

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** კასპის მუნიციპალიტეტი

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

**დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 21 თებერვალი, 13:00 საათი, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. აღაიანის შენობა**

**„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.**

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ გზშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **11 მარტის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 12-ე მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა 2023 წლის **29 დეკემბერს.** აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

### **გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -** შპს „რუსთავის ფოლადის“ მიერ რუსთავის მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს რუსთავის ფოლადი

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. რუსთავი

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

**დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 20 თებერვალი, 12:00 საათი, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის: კოსტავას ქ. №20)**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ გზშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **11 მარტის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 12-ე მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა **2023 წლის 28 დეკემბერს.** აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

### **გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -** შპს „აგროუბანის“ მიერ გურჯაანის მუნიციპალიტეტში პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პროექტი

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „აგროუბანი“

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** გურჯაანის მუნიციპალიტეტი

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

**დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 22 თებერვალი, 12:00 საათი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის: ნონეშვილის ქ. №13)**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ გზშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 12 მარტის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 12-ე მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა **2023 წლის 29 დეკემბერს.** აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

## სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, სოფ. შინდისში, საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა და ექსპლუატაცია

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „კანიონ ვილიჯი“

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, სოფ. შინდისი

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი**

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 30 იანვარი, 12:00 საათი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, მთაწმინდის რაიონის გამგეობის წავკისი, შინდისი, ტაბახმელას საუბნო სამსახურის შენობა (მის.:ტაბახმელა, თბილისი-კოჯრის გზატკეცილი №25)**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **2 თებერვლის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **2023 წლის 28 დეკემბერს,** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

## სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „არაკალის“ მიერ მდ. ფარავანზე 4.5 მგვტ სიმძლავრის „არაკალი ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაცია

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „არაკალი“

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 2 თებერვალი, 15:00 საათი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი არაქალის კულტურის სახლის შენობა**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 5 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, 2023 წლის 29 დეკემბერს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ალექსანდრე გაჩეჩილაძის, თამილა მაჭავარიანის და შოთა გაჩეჩილაძის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** ალექსანდრე გაჩეჩილაძე (პ/ნ 18001071207), თამილა მაჭავარიანი (პ/ნ 18001052261), შოთა გაჩეჩილაძე (პ/ნ 18001070805), ზესტაფონი, ს. დილიკაური, 27-ე ქუჩა №5

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ზესტაფონი, ვახუშტი ბატონიშვილის II შესახვევი №15 (საკადასტრო კოდი: 32.10.31.357 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 22695.28 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 15 იანვარი, 16:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 30 იანვარი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP95454324;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 954543

6. **მოვალე:** არტურ ხურციძე (პ/ნ 17001003244), ვანი, ს. გორა.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP95454324; ლოტის ნომერი: 954543).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 30 იანვრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ეკატერინა მიქაუტაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ეკატერინა მიქაუტაძე (პ/ნ 62004026667), ხობი, გოგებაშვილის 58

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბოს რაიონი, სოფელი გუმბრა (საკადასტრო კოდი: 29.09.41.397 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2000 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 12 იანვარი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 26 იანვარი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP95435624;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 954356

6. **მოვალე:** ეკატერინა მიქაუტაძე (პ/ნ 62004026667), ხობი, გოგებაშვილის 58;
ოთარ მიქაუტაძე (პ/ნ 58001008406), ხობი, გოგებაშვილის 52
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP95435624; ლოტის ნომერი: 954356).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 26 იანვრის 12:00 საათამდე.



მეუღლე ჯუმბერ პატიაშვილი, შვილები გიორგი, პაატა პატიაშვილები, რძლები ირინა ნიკოლაიშვილი, ქეთი ჩხიკვიშვილი, შვილიშვილები მარიამ, ჯუმბერ, გიორგი, ლევან პატიაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქალბატონი

## თინა ჭიჭინაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი: 15 I, 16 საათზე, სიონის ტაძარში. გამოსვენება 16 I, 14 საათზე, სიონის ტაძრიდან.

---

ლუიზა და რონ მეტრეველები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლო მეგობრის

## თინა ჭიჭინაძე-პატიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ჯუმბერ პატიაშვილს და მის ოჯახს.

---

თამაზ შილაკაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

## თინა ჭიჭინაძე-პატიაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ნუგზარ წერეთელი ოჯახით თანაუგრძნობს უახლოესი მეგობრის ჯუმბერ პატიაშვილის ოჯახს და იზიარებს დიდ ტკივილს არაჩვეულებრივი, ღირსეული და დაუვიწყარი

## თინა ჭიჭინაძის

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, ზურაბ ფოჩხუა, მიხეილ სალაძე, ბორის გოგიჩაიშვილი, ნოდარ ბოლოთაშვილი სამძიმარს უცხადებენ ჯუმბერ პატიაშვილს მეუღლის, გამორჩეული ქალბატონის

## თინა გიორგის ასული ჭიჭინაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ შვილებს — გიორგის და პაატას.

---

# ნუნუ ნიკოლაიშვილი

საქართველოს ეროვნული პენსიონერთა საერთაშორისო კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 2024 წლის 12 იანვარს გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი

## ნუნუ ნიკოლაიშვილი

დაიბადა 1923 წელს. ღვაწლმოსილმა ქალბატონმა გამოზარდა მრავალი წარჩინებული ახალგაზრდა, რომლებიც გახდნენ მინისტრები და საზოგადო მოღვაწეები. იგი დაჯილდოებული იყო პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ ღირსების ორდენით, ასევე დაჯილდოებული იყო არაერთი ორდენით, სიგელით და მედლით.

მისი განვლილი საქმიანობისთვის, გარდაცვალების შემდეგ, 2024 წლის 12 იანვარს ნუნუ ნიკოლაიშვილს მიენიჭა თინათინ წერეთლის სახელობის სამართლის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსის წოდება.

სამძიმარს ვუცხადებ ტარიელ ზამბახიძეს და მისი ოჯახის ყველა წევრს.

**აპოლონ გადელია,**

საქართველოს ეროვნული პენსიონერთა საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარე, თინათინ წერეთლის სახელობის სამართლის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამართლის აკადემიკოსი

---

# ლია ნადარეიშვილი



ლია ნადარეიშვილი დაიბადა 1930 წელს.

1948 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1953 წელს.

1954-1967 წლებში მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის აპარატში; 1967 წელს აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მდივნად. 1977 წლიდან დაინიშნა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე. 1994 წლიდან არჩეული იქნა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარედ.

ლია ნადარეიშვილი დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისთვის" და საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით. 1999 წელს მიღებული აქვს ღირსების ორდენი. 2004 წელს — დიპლომი წიგნის პროპაგანდის საქმიანობაში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის.

ლია ნადარეიშვილის ხსოვნა, მისი უანგარო და თავდადებული შრომა დიდხანს დარჩება „წიგნის მოყვარულთა საზოგადოების" თანამშრომელთა და ყველა იმ ქართველის გულში, ვინც მას იცნობდა.

**საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია.**

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები დიდი გულისტკივილით იუწყებიან საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარის, ღირსების ორდენოსნის, დიდი პროფესიონალის და უკეთილშობილესი ქალბატონის

## ლია ნადარეიშვილის

გარდაცვალებას. თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს, თანამშრომლებს და ყველა წიგნის მოყვარულს. ღმერთმა სული გაუნათლოს ღვაწლმოსილ და დამაშვრალ ქალბატონს.

---

# მაღალი ზნეობისა და კეთილშობილების განსახიერება...

გარდაიცვალა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ხელმძღვანელი, ქართული წიგნის ნამდვილი ქომაგი და მოამაგე, ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, ცნობილი ჟურნალისტ-გამომცემელი, მრავალი ტიტულითა და ჯილდოთი დამშვენებული დიდებული ქალბატონი ლია ნადარეიშვილი.



ქალბატონ ლია ნადარეიშვილს დიდი და საპატიო ცხოვრებისეული გზა აქვს გავლილი. მრავალ უაღრესად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არის ნამუშევარი, მაგრამ ახლა მე მის ნეკროლოგს არ ვწერ! მე ვწერ გამოსათხოვარ წერილს ჩემს დიდ მეგობარზე, გნებავთ, მასწავლებელზე, რომლისგანაც მე შევიძინე ყველაზე მეტი და ყველაზე დიდი, რაც ერთმა ადამიანმა მეორე ადამიანისაგან შეიძლება შეიძინოს: ეს არის ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება, საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება და თავდადება. მისგანვე ვისწავლე, თუ როგორ უნდა შექმნა საკუთარი ავტორიტეტი საქმით და არა სიტყვით, და შეუქმნა იგი ორგანიზაციასაც, რომელსაც შენ ხელმძღვანელობ. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია, რომელსაც ქალბატონი ლია მთელ სამ ათეულ წელზე მეტი ედგა სათავეში. ამ ხნის განმავლობაში მას ამ ორგანიზაციისათვის უამრავი კარგი საქმე აქვს გაკეთებული. განსაკუთრებით მინდა გავიხსენო ის ავადმოსაგონარი წლები, როცა ძმათამკვლელი ომი მძვინვარებდა საქართველოში, როცა ყველაფერი ინგრეოდა და ნადგურდებოდა, რასაც კი მატერიალური ან სულიერი ღირებულება გააჩნდა, როცა ყველანი ვცხოვრობდით შიშის, უიმედობისა და სასოწარკვეთის ატმოსფეროში. ვიხსენებ იმიტომ, რომ სწორედ ამ გაუსაძლის პირობებში არსებობდა ორგანიზაცია, სადაც ერთი ნავთქურის გარშემო შემოკრებილი ადამიანები მსჯელობდნენ ისეთ მაღალ ღირებულებებზე, რომელზე სალაპარაკოდაც გარეთ არავის ეცალა, სწორედ აქ არ იყო დაკარგული სხვა ადამიანებისადმი თანაგრძნობა, თანადგომა, ურთიერთსიყვარული და პატივისცემა. სწორედ ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ქალბატონი ლია ნადარეიშვილი. მე ამ ორგანიზაციაში წლების განმავლობაში ვიმუშავე და კარგად ვიცნობ იმ ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს, რეჟისორებსა და თეატრალურ მოღვაწეებს, მხატვრებსა და კომპოზიტორებს, მსახიობებსა და მომღერლებს, ვისაც მოუხაროდა აქ.

იმ საამაყო საქმეთა შორის, რომელიც მწიგნობართა ასოციაციამ განუხორციელებია, ერთერთი უპირველესი მინიატიურული წიგნების გამოცემაა. დღემდე გამოცემულია 200-ზე მეტი მინიატიურული წიგნი, რომელთა რედაქტორი, თითქმის ყოველთვის ქალბატონი ლია ნადარეიშვილია. ამასთან, იგი იყო ყოველწლიური ალმანახის „მწიგნობრის" სარედაქციო საბჭოს წევრი.

საინტერესოა, ალბათ, ისიც, რომ პოლიგრაფიულად მაღალი დონის გამოცემები ყოველგვარი სახელმწიფო დაფინანსების გარეშე გამოდიოდა და ერთიც კი არ გამოცემულა მატერიალური მოგების მოსატანად. ეს კი უპირველესად რედაქტორ-გამომცემლის მაღალ ზნეობასა და კეთილშობილებაზე მიუთითებს.

საოცარი იყო ამ უკეთილშობილესი ადამიანის ორგანიზატორული ნიჭი. მან მოახერხა, თავის გარშემო შემოეკრიბა გამომცემელთა და მხატვართა ჯგუფი, რომელიც საქმის სიყვარულითა და ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ქალბატონმა ლიამ ერთ ოჯახად შეკრა ეს პატარა ორგანიზაცია.

გავა წლები, საქართველოში კი წიგნის მოყვარული ადამიანები არ დაილევიან და სანამ ასეთი ადამიანები იარსებებენ, მანამ არც ამაგდარი მწიგნობრის, ქალბატონი ლიას სახელი არ მიეცემა დავიწყებას!

მშვიდობით, ქალბატონო ლია, უნიჭიერესო და უკეთილშობილესო ადამიანო!

**რევაზ ბალანჩივაძე,**

პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

მარად მოსაგონარი



# ბორის დემეტრაძე

90 წლის გახდებოდა ღირსეული მამულიშვილი, სახელმწიფო მოღვაწე, თვალსაჩინო მეცნიერი, საქართველოს სამთო საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი ბორის დემეტრაძე, რომელიც ნაადრევად, 66 წლის ასაკში გავაცილეთ მარადისობაში.

იგი დაიბადა 1934 წლის 5 იანვარს თბილისში. ოქროს მედალზე დაამთავრა ვაჟთა მე-11 საშუალო სკოლა, ხოლო 1957 წელს — წარჩინებით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი. 1957 წლიდან მუშაობდა, დონეცკის აუზის შახტებში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1962-1973 წლებში იგი საქმიანობას განაგრძობს თავდაპირველად მშობლიურ ძირძველ უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო შემდეგ — თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მმართველ ორგანოებში ხელმძღვანელის თანამდებობებზე.

1973 წელს ბორის დემეტრაძე დაუბრუნდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, 1976 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად და არჩეული იქნა ჯერ დოცენტად, შემდეგ კი პროფესორად. 1984-1989 წლებში იყო ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1989 წლიდან გარდაცვალებამდე კათედრის გამგე.

ბორის დემეტრაძემ ამ ურთულეს თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში, გამოავლინა სათანადო კომპეტენტურობა, პრინციპულობა და მასშტაბური აზროვნება.

1984-1989 წლებში იყო ინსტიტუტის სამთო კორპუსთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა შახტი-ლაბორატორიის დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციაში გაშვების ინიციატორი და განმახორციელებელი. ამ უნიკალური შახტი-ლაბორატორიის მსგავსი ანალოგი, ევროპის არცერთ უმაღლეს სასწავლებელს არ გააჩნია. აქ ტარდება სამთო დარგის მაპროფილებელ საგნებში თეორიული, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები. სტუდენტებს საშუალება აქვთ, გაეცნონ მიწისქვეშა ნაგებობათა კომპლექსს, საწმენდი და მოსამზადებელი გვირაბების გამაგრების ტექნოლოგიას, მანქანა-დანადგარების და მექანიზმების მუშაობის პროცესს და შესაძლებლობა ეძლევათ გამოიმუშაონ მათი მართვის ჩვევები საწარმოო პირობებში.

უმაღლესი სკოლის არაორდინარული სასწავლო ცენტრის შექმნაში მონაწილე ავტორთა კოლექტივს 1993 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

დღეს, სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი შახტი-ლაბორატორია ბორის დემეტრაძის სახელს ატარებს.

ბატონი ბორისი 35 გამოქვეყნებული ნაშრომის, მათ შორის 2 ფუნდამენტური და 2 დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორია.

ბორის დემეტრაძეს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოღვაწეობისას ახლო ურთიერთობა ჰქონდა სტუდენტებთან. იგი მუდამ პოულობდა დროს, დასწრებოდა მათ ღონისძიებებს, გულთან ახლოს მიჰქონდა მათი გასაჭირი, რომელსაც რეაგირების გარეშე არ ტოვებდა.

იგი იყო საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას და ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდის პირველი აღმომჩენი, მათი გზამკვლევი, ობიექტური, პირუთვნელი შემფასებელი და უანგარო გულშემატკივარი. ბატონ ბორისს ინტელექტუალურ ოჯახში აღზრდის სკოლა ჰქონდა გავლილი და ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭით და იუმორის დიდი გრძნობით იყო დაჯილდოებული, ადვილად პოულობდა საერთოს როგორც უფროს თაობასთან, ასევე უმცროსებთანაც.

მისი მეუღლე, ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ემერიტუსი აზა დანელია, მთელი ცხოვრების მანძილზე ბურჯად და იმედად ედგა მხარში ძვირფას მეუღლეს. იგი დღესაც შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად სათუთად ინახავს მის ხსოვნას და ღირსეულად აგრძელებს ოჯახურ ტრადიციებს. ბატონი ბორისის მიერ განვლილი ცხოვრების გზა ერისა და ქვეყნისადმი თავდაუზოგავი შრომის ნათელი მაგალითია.

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ პედაგოგსა და მეცნიერს, მისმა ინტელექტუალურმა ადამიანურმა თვისებებმა, სამართლიანად დაუმკვიდრა ადგილი მამულიშვილთა შორის. შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ბორისი როგორც გამორჩეული პიროვნება, ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული!

მეგობრები:

**დავით გურგენიძე, ლავრენტი გუდავაძე, ბაკურ გულუა, თემურ თოფურიძე, ჯემალ კუხალაშვილი, ნაზი კუციავა, ნიკო ლეკიშვილი, მურთაზ მამისეიშვილი, გრიგოლ შონია, ოთარ წეროძე, რამაზ ხუროძე.**

◎ გასულ უქმეებზე

# სასიხარულოც, საპატიოც...

**ძველით ახალ წელს ქართული სპორტული სამყარო მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოვლენებით შეხვდა და მოდით, ჩვენც დავუთმოთ მათ ყურადღება სახეობების მიხედვით.**

## ფიგურული სრიალი



**შარშან ანასტასია გუბანოვამ დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში მოხვეჭილი პირველი კონტინენტური ტიტულით გაგვახარა, აღნიშნული წარმატების საფუძვლიანობა ამჯერად კაუნასში გამართულ ევრო-2024-ზე დაამტკიცა, სადაც მცირედით ჩამორჩა ახალ გვრგვინოსანს და მკერდი ვერცხლით დაიმშვენა.**

იმავე სინჯის მეორე ჯილდო ჯვაროსანთა დელეგაციას **ლუკა ბერულავასა** და **ანასტასია მეტელკინას** წყვილმა მოუტანა. ხომ გახსოვთ, 60 წლის წინათ ტოკიოს ოლიმპიადაზე როგორ სოლიდით აიჭრა იაპონელ პრიზიორ შტანგისტთა კვარცხლბეკზე დიტო შანიძე მეორე ადგილის დაკავების ნიშნად. ისტორია ლიტვურ ყინულზე განმეორდა, სადაც ჩვენმა დუეტმა იტალიურ ტანდემთა შორის დაიმკვიდრა კუთვნილი საპატიო ადგილი. ვულოცავთ! დავძენთ, რომ გუნდურ ჩათვლაში საოცნებო მეოთხე ადგილი დავიკავეთ.

## წყალბურთი

**სიკვდილის ჯგუფში და, განსაკუთრებით, მერვედფინალში რუმინეთთან ნაჭამი სირცხვილის შემდეგ დეიან სტანოიევიჩის გაწვრთნილმა გუნდმა მარკო ელაჩას გარეშე მე-9 ადგილისთვის დაწყებული პლეიოფი გერმანიასთან ფეერიულად დაასრულა და დასკვნითი პერიოდი 7:1(!) მოიგო,**

რამაც ხორვატეთში მიმდინარე ევროპულ ფორუმზე პირველი გამარჯვება მოუტანა — 15:10. მატჩის გმირმა დუშან ვასიჩმა მეტოქეს 5 ბურთი გაუტანა. დღეს დუბროვნიკში საქართველოს ნაკრებს მძიმე ბრძოლა ელის საფრანგეთთან.

## ფეხბურთი

**როგორც იქნა, 4-მატჩიანი მშრალი სერია შეწყვიტა ნაპოლიმ, რომელმაც კალჩოს მეორე წრის სტარტზე შინ გაჭირვებით დაამარცხა აუტსაიდერი სალერნიტანა — 2:1.**

შეგახსენებთ, რომ პრინციპულ კამპანიურ დერბიში სტუმრებმა პარტენო პეის შარშან ბოლო წუთებზე გაუთანაბრეს ანგარიში და ერთი ტურით გადაადებინეს საჩემპიონო ზეიმი და შაბათსაც ახლოს იყვნენ ძვირფას ქულასთან, მაგრამ კარგად დაწყებული საქმე (კანდრევა) სასურველ ბოლომდე ვერ მიიყვანეს და მე-5 დამატებულ წუთზე რაჰმანისგან მიიღეს საბედისწერო გოლი — 1:2. რაც შეეხება მასპინძელთა პირველ გოლს, იგი კვარაცხელიას წამოწყებულ კომბინაციას მოჰყვა (პოლიტანო — პენალტით). საერთოდ, ხვიჩა მეორე ტაიმში გააქტიურდა და ბოლო წუთზე ცოტა დააკლდა შედევრამდე, მის პარტნიორთა შორის კი არ იყვნენ აფრიკის თასზე მოთამაშე ოსიმენი და ანგისა, აგრეთვე ჟელინსკი, რომელმაც წინა შეხვედრაში ტრავმა მიიღო. სამწუხაროდ, საფინალო სასტვენის წინ კვარამ, ტრადიციისამებრ, უწყინარ ვითარებაში აიკიდა სეზონში მე-5 ყვითელი ბარათი, რის გამოც მორიგ გასვლით მატჩს ლაციოსთან იძულებით გამოტოვებს.

## ხელბურთი

**საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მალევე დაძლია დებიუტანტის სინდრომი და მანჰეიმში ევროპის მოქმედ, სულ კი 5-გზის ტრიუმფატორ შვედეთთან ადვილად პროგნოზირებად წაგებულ უთანასწორო ბრძოლაში 26 ბურთი გაიტანა — 26:42, თანაც ტიტე კალანდაძის გაწვრთნილი გუნდის ლიდერებმა — ცხოვრებაძემ და არსენაშვილმა ბოლომდე მოუშუშებელი ტრავმებით ითამაშეს.**



სხვათა შორის, სტარტზე ნიდერლანდებს ჩვენებმა მეორე ნახევარი 17:15 მოუგეს, თუმცა ღირსეულად მაინც დამარცხდნენ — 29:34. დღეს ბიჭები გერმანიაში ჯგუფური რაუნდის დასკვნით მატჩს ბოსნიასთან გამართავენ.

## რაგბი

**ჩელენჯ თასის ორგზის მფლობელისა და საფრანგეთის 5-გზის ჩემპიონის კასტრის სახით პირველ ქართულ ფრენჩაიზს შავ ლომს მრისხანე გამომცდელი ჰყავდა და უნდა ითქვას, რომ თავი არ შეურცხვენია — 6:28. ლევან მაისაშვილის შეგირდები შედარებით უკეთ პირველ ტაიმში გამოიყურებოდნენ, რომელიც მხოლოდ 3:7 დათმეს.**

სტუმრებს ქულები საჯარიმოებით მატკავამ მოუტანა, ხოლო მასპინძელთა შემადგენლობაში შესვენების შემდეგ ჩილაჩავამ ითამაშა. 20 იანვარს 17 საათზე „მიხეილ მესხზე" მეორე ფრანგულ გრანდს კლერმონს დავუხვდებით.

## პარა-ფარიკაობა



**ახალი სეზონი წარმატებით დაიწყეს ქართველმა ეტლით მოფარიკავეებმაც.**

კერძოდ, უელსის დედაქალაქ კარდიფში გათამაშებულ მსოფლიოს თასზე ხმლით ბრძოლაში მეორე პრიზიორი **ნინა თიბილაშვილი** გახდა, ირმა ხეცურიანმა კი ნახევარფინალში ტაილანდელ მეტოქესთან წააგო და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

მოამზადა **გიორგი შოთაძემ**

## ცუდი ამბების კრიალოსანი

### ბინის გაქურდვები საქართველოდან

**დაკავებულია** 35 და 40 წლის ორი მამაკაცი. მათი ჩხრეკისას პოლიციამ სავარაუდოდ ნაქურდალი ნივთებიც იპოვა. საქმის მასალების მიხედვით, დაკავებულები ბინებიდან საყოფაცხოვრებო ნივთებს იპარავდნენ. საქართველოს მოქალაქეები ბერლინის პოლიციამ თვითმხილველების შეტყობინების საფუძველზე დააკავა.

### მთვრალმა ქართველმა იტალიაში მანქანა მოიპარა

**იტალიაში,** ლივორნოში მანქანის ქურდობისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს - ინფორმაციას იტალიური მედია ავრცელებს და წერს, რომ 40 წლის ქართველმა მანქანა ერთ-ერთი სამშენებლო ობიექტიდან მოიპარა. შემთხვევა 11 იანვარს მოხდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ კაცი მოპარულ მანქანას ნასვამ მდგომარეობაში მართავდა, რის გამოც ავტოსაგზაო შემთხვევა მოუვიდა და პოლიციამ სწორედ ასე აღმოაჩინა, რომ სატრანსპორტო საშუალება მოპარული იყო. მანქანა მის კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა.

### პოლონეთში წითელი ცირკულარით ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს

**39 წლის** ქართველი კაცის დაკავების ორდერი უკრაინული მხარის მიერ იყო გაცემული. მას ბრალი ქურდობასა და სხვისი ქონების უნებართვო გამოყენებაში ედება. მათივე ცნობით, წითელი ცირკულარით ძებნილი საქართველოს მოქალაქე პოლონეთში 9 იანვარს თბილისიდან ჩაფრინდა. იგი სწორედ ამ დროს, სასაზღვრო შემოწმებისას დააკავეს.

დაკავებული ვროცლავის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. პოლონეთის სასაზღვრო სამსახური არ აკონკრეტებს მოხდა თუ არა მისი ექსტრადირება.

# საახალწლო დღეები გურიამ კალანდობით დაასრულა

**კალანდობის დღესასწაული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის ეთნოგრაფიულ სივრცეში, კალანდობისთვის დამახასიათებელი უძველესი ტრადიციებით აღნიშნეს: აგუნას გადმოძახილი, მეკვლის ფეხადობა, ცხემლის ჭრა, ჩიჩილაკის დამზადება, ტრადიციულად გამოაცხვეს გურული ღვეზელი.**



გაიმართა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, თეატრალური პერფორმანსი, ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა.

ღონისძიება გალაკონცერტითა და ფეიერვერკით დასრულდა.

## წლეულს ევროვიზია ნუცა ბუზალაძეს ელის




**საქართველოს 2024 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე ნუცა ბუზალაძე წარადგენს. ნუცა ბუზალაძე 5 წლიდან დადიოდა ანსამბლ „მართვეში“, შემდეგ იყო საბავშვო ანსამბლ „მზიურის“ მთავარი ვოკალისტი, ასევე უკრავდა გიტარაზე.**

წლების განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული 10-ზე მეტ კონკურსში და ბევრჯერ მოიპოვა აღიარება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ნუცა წარმატებით მონაწილეობდა ისეთ კონკურსებში, როგორებიცაა: „ნიჭიერი“, „ერთი-ერთში“, ახალი ტალღა“ (გამარჯვებული), „ცეკვავენ ვარსკვლავები“ „The Voice of Turkey“, „ყველა ერთად“, Kenga Magjike , „ყველა ერთად“, American Idol.

2019 წელს გამოუშვა სადებიუტო ალბომი „Nutca22“, რომელიც აერთიანებს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან სიმღერებს. 2023 წლამდე, პარალელურად, ლოს ანჯელესსა და დუბაიში მღეროდა თეატრში და მართავდა კონცერტებს. 2023 წელს ნუცამ მონაწილეობა მიიღო პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მუსიკალურ შოუში – American Idol, სადაც top12 მონაწილეში მოხვდა, ხოლო შოუს ფინალში შეასრულა დუეტი ავსტრალიელ პოპვარსკვლავთან, კაილი მინოუგთან ერთად. ევროვიზია 2024 შვედეთის ქალაქ მალმეში 7, 9 და 11 მაისს გაიმართება.

## დედოფალმა ტახტი ვაჟს დაუთმო



**83 წლის დედოფალი მარგარეტი 52-წლიანი მმართველობის შემდეგ ტახტზე უარი 14 იანვარი თქვა. რის შემდეგაც სამეფო გვირგვინს მის ვაჟს, პრინც ფრედერიკს გადასცემენ.**

კორონაციისთვის მზადება კოპენჰაგენში უკვე კულმინაციას აღწევს. ქვეყნის დედაქალაქი ცერემონიისთვის ეროვნულ დროშებით გააფორმეს.

## საჭმელი, რომელსაც... ათი დღე ამზადებდნენ



**განელი შეფ-მზარეული ფაილატუ აბდულ-რაზაკი საჭმელს 227 საათის განმავლობაში ამზადებდა, რითაც, სავარაუდოდ მსოფლიო რეკორდი დაამყარა.**

ქალმა სამზარეულოში მარათონი ოთხშაბათს, ქალაქ ტამალეში დაასრულა, რა დროსაც მხრებზე განის ეროვნული დროშა ჰქონდა შემოხვეული. ახლა მზარეულის გუნდი მარათონის მტკიცებულებას გინესის მსოფლიოს რეკორდებს გადაუგზავნის და რეკორდის მოხსნის ოფიციალურ დასტურს დაელოდება. ამ დროისთვის რეკორდსმენად ამ კატეგორიაში ირლანდიელი ალან ფიშერი ითვლება, რომელიც საჭმელს 119 საათისა და 57 წუთის განმავლობაში ამზადებდა და დასვენების დროს მხოლოდ დასაძინებლად და საპირფარეშოში გასასვლელად იყენებდა. ირლანდიელმა ნიგერიელი ჰილდა ბაჩის რეკორდი გააუმჯობესა, რომელიც საჭმელს თითქმის 100 საათის განმავლობაში ამზადებდა.

## ყოფილმა პრემიერმა იქორწინა



**ახალი ზელანდიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა დიდი ხნის პარტნიორზე, ტელეწამყვან კლარკ გეიფორდზე იქორწინა.**

ცერემონია ჰოუკ ბეიში გაიმართა. მას 75-მდე სტუმარი დაესწრო, მათ შორის ქვეყნის მოქმედი პრემიერი და ოპოზიციის ლიდერი კრის ჰიპკინსი. 43 წლის არდერნი და 47 წლის გეიფორდი დაქორწინებას 2022 წლის დასაწყისში გეგმავდნენ, თუმცა ცერემონია არდერნის მიერ მიღებული მკაცრი კოვიდ-შეზღუდვების გამო გადადეს. პარლამენტში პრემიერის რანგში ბოლო გამოსვლისას არდერნმა საქმროს მიმართა სიტყვებით: „მოდი, ახლა მაინც დავქორწინდეთ“! წყვილს 5 წლის ქალიშვილი ჰყავს.

## შადრევანი მონეტებით აავსეს...

**2023 წელს ტურისტებმა რომის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ღირსშესანიშნაობაში – ტრევის შადრევანში 1,6 მილიონი ევროს ოდენობის მონეტა ჩაყარეს, რაც 2006 წლის შემდეგ ახალი რეკორდია.**

შადრევანში ჩაყრილ მონეტებს შორის არის როგორც ევროები და ევროცენტები, ასევე დოლარები და გირვანქა სტერლინგები. შადრევნიდან ამოღების შემდეგ მონეტებს ახარისხებენ და უცხოურ ვალუტას ევროზე ცვლიან. ევროები კი გამანაწილებელ ცენტრში გადააქვთ, აღდგენენ, შემდეგ კი კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციის „კათარსისი“ რომაულ განყოფილებაში გადააქვთ. ორგანიზაცია შეგროვილ თანხას გაჭირვებულების დასახმარებლად იყენებს.



ფულთან ერთად შადრევანში სხვადასხვა ნივთებიც აღმოაჩინეს: სათვალეები, საათები, სამაჯურები, ბეჭდები, გიტარის მედიატორები და კბილის პროთეზიც კი. ნივთებს შადრევნიდან კვირაში სამჯერ ან უფრო მეტჯერ აგროვებენ. ტრევის შადრევანი რომის უდიდესი შადრევანია. ბაროკოს სტილის ობიექტი 1732-1762 წლებში არქიტექტორმა ნიკოლო სალვიმ ააგო. ლეგენდის თანახმად, შადრევანში მონეტის ჩაგდება იმის საწინდარია, რომ ადამიანი რომში დაბრუნდება, ან შადრევანთან ჩაფიქრებული სურვილი აუსრულდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 17 იანვარს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6741; ევრო - 2.93080;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4103;
100 რუბლი - 3.0339; თურქული ლირა - 0.0889;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5730;
1000 სომხური დრამი - 6.6156

**ამინდი 15 იანვრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | -10, | დღე +6 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -14, | დღე +3 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | -3, | დღე +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -11, | დღე +7 |
| თბილისი: | ღამე | -5, | დღე +7 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge